

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი



მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ
განხორციელებული საქმიანობის შესახებ მასწავლებელთა
ინფორმირებულობა და განწყობა-დამოკიდებულები

კვლევის ანგარიში

პროექტის დირექტორი: გიორგი მაჩაბელი, ავტორები: ნინო ჯავახიშვილი, თამუნა ბრეგვაძე,
რევაზ აფხაზავა

მაისი-აგვისტო
2009

შესავალი	4
კვლევის მიზანი, მეთოდი და სტრუქტურა.....	4
კვლევის სტრატეგია და მეთოდოლოგია.....	4
თვისებრივი კომპონენტი.....	4
ფოკუსური ჯგუფები :	5
რაოდენობრივი კომპონენტი	5
➔ რაოდენობრივი კომპონენტის მიზანი.....	5
➔ შერჩევის დიზაინი.....	5
➔ ტექნიკა და ინსტრუმენტი.....	11
ანგარიშის სტრუქტურა.....	12
შედეგების აღწერა.....	13
ბლოკი 1 (ინფორმირებულობა ცენტრის შესახებ)	13
ბლოკი II – მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები.....	24
ბლოკი III - ეთიკის კოდექსი.....	27
ბლოკი IV მენტორობა-მაძიებლობა	29
ბლოკი V - პედაგოგთა სერტიფიცირება.....	38
ბლოკი VI - მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოები.....	51
ბლოკი VII - ჟურნალი „მასწავლებელი“	52
ბლოკი VIII - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები.....	56
ბლოკი IX - ცენტრისა და მასწავლებლების ვაკანსიების ვებ-გვერდის შეფასება.....	58
ვაკანსიების ვებ-გვერდი.....	60
ბლოკი X - პროგრამა "ასწავლე საქართველოსთვის"	62
ბლოკი XI - თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან	63
დასკვნები.....	65
ძირითადი შედეგები.....	65
ინფორმირებულობა	65
სტანდარტი	66
ეთიკის კოდექსი	67
მენტორი-მაძიებელი.....	67
პედაგოგთა სერტიფიცირება.....	68
დამხმარე სახელმძღვანელოები.....	69
ჟურნალი "მასწავლებელი"	69
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები.....	70
ცენტრისა და ვაკანსიების ვებ-გვერდი.....	70
პროგრამა "ასწავლე საქართველოსთვის".....	71
თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან.....	71
რეკომენდაციები:.....	72
დანართები.....	74
დანართი #1 - დამატებით რა ინფორმაციის მიღებას ისურვებდით ჟურნალის მეშვეობით. 74	
დანართი #2 - სასურველი ავტორების ჩამონათვალი.....	76

დანართი #3 ჟურნალის რომელი თემები/საკითხემში დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად..	77
დანართი #4 - თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა იმისათვის, რომ მასწავლებელთა ჩართულობა და ინტერესი ჟურნალისადმი გაზარდოს?.....	80
დანართი #5 - მასწავლებლების და დირექტორების მიერ დასახელებული ექსპერტები.....	82
დანართი #6 - ცენტრის ვებ რვერდზე სასურველი დამატებითი ინფორმაციის ჩამონათვალი	84
დანართი #7 - დამატებით რა რესურსების განთავსებას ისურვებდით „სასარგებლო რესურსებში“?.....	85
დანართი #8 - ფოკუს ჯგუფის ანგარიში.....	86
დანართი #9 - სქემები.....	100
დანართი #10 - ცხრილები.....	102

კვლევის მიზანი, მეთოდი და სტრუქტურა

განათლების პოლიტიკის, დაეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა 2009 წლის მაის-აგვისტოში ჩაატარა კვლევა, რომლითაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა ინფორმირებულობა და განწყობა-დამოკიდებულება შეისწავლა.

ინფორმაცია მასწავლებელთა და დირექტორთა ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების შესახებ ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოიპოვეს გამოკითხვით, პირისპირ ინერვიუების გზით. აგრეთვე, განათლების სფეროს ექსპერტებისა და დირექტორების აზრი, რომელიც ფოკუს ჯგუფის მეშვეობით იქნა იდენტიფიცირებული, გათვალისწინებული იყო რაოდენობრივ კვლევის ინსტრუმენტში.

კვლევის პროცესში მოპოვებულ იქნა ინფორმაცია მასწავლებელთა და დირექტორთა ინფორმირებულობის შესახებ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მუშაობის ყველა მიმართულებაზე და მასწავლებელთა/დირექტორთა დამოკიდებულების შესახებ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინოვაციებზე. კვლევის საწყის ეტაპზე გათვალისწინებული იყო ისიც, რომ მასწავლებლებს და დირექტორებს შესაძლოა განსხვავებული მოსაზრებები ჰქონოდათ ცენტრის ამა თუ იმ ინიციატივის შესახებ, ისევე, როგორც განსხვავებული შესაძლოა ყოფილიყო მათი ინფორმირებულობის დონე. შესაბამისად, ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტი ისე დაიგეგმა, რომ ამ კითხვებზეც შესაძლებელი ყოფილიყო პასუხის მიღება, რაც ასახულია შედეგებში, დასკვნებსა და რეკომენდაციებში.

კვლევის სტრატეგია და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა ორ ძირითად ეტაპად და მოიცავდა თვისებრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს. წინამდებარე კვლევისათვის გამოვიყენეთ ტრიანგულაციის სახე, როდესაც თვისებრივი კვლევა წინ უსწრებს რაოდენობრივს, ამ უკანასკნელისათვის მასალის მოსაპოვებლად. ტრიანგულაციის მეორე მიზანი იყო ამ ორი მეთოდით მიღებული შედეგების ერთმანეთთან შედარება. აღმოჩნდა, რომ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა, არის განსხვავებებიც, განსაკუთრებით, სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით - ფოკუს ჯგუფის მონაწილეები გაცილებით მეტად აკრიტიკებენ საგამოცდო ტესტების ნიმუშებს, ვიდრე გამოკითხულები.

თვისებრივი კომპონენტი

თვისებრივი კვლევა წინ უძღვოდა რაოდენობრივ კომპონენტს და რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტისათვის - კითხვარის მომზადების მიზნით განხორციელდა. სულ ჩატარდა 2 შეხვედრა განათლების სფეროს ექსპერტების, სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების მონაწილეობით.

ფოკუსური ჯგუფები :

თარიღი	2009 წლის მაისი
კვლევის არეალი	თბილისი
კვლევის მეთოდი	თვისებრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი დისკუსია
ფოკუსური ჯგუფის რაოდენობა	2 ფოკუსური ჯგუფი (19 რესპონდენტი)
მონაწილეები	განათლების სფეროს ექსპერტები - არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლები, განათლების სამინისტროს და საჯარო სკოლების მასწავლებლები და დირექტორები
ფოკუსური ჯგუფის ხანგრძლივობა	დაახლ. 2 სთ.

ფოკუს ჯგუფების შედეგების დეტალური ანგარიში მოცემულია დანართ #8-ში.

რაოდენობრივი კომპონენტი

➔ **რაოდენობრივი კომპონენტის მიზანი**

გამოკითხვის მიზანი იყო პედაგოგებისა და დირექტორების დამოკიდებულების და ინფორმირებულობის კვლევა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. სულ გამოიკითხა 1372 პედაგოგი და 323 დირექტორი.

➔ **შერჩევის დიზაინი**

1. კვლევის სამიზნე ჯგუფები

კვლევა ჩატარდა ორ სამიზნე ჯგუფზე:

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები;
2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები;

2. კვლევის გეოგრაფიული არეალი

1. აჭარა
2. გურია
3. იმერეთი
4. კახეთი
5. მცხეთა-მთიანეთი
6. რაჭა
7. ქვემო ქართლი
8. სამცხე-ჯავახეთი
9. სამეგრელო (ზემო სვანეთის გარდა)
10. შიდა ქართლი
11. თბილისი

3. გენერალური ერთობლიობა

გენერალურ ერთობლიობად განვიხილეთ:

1. თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების დირექტორები;
2. თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების პედაგოგები;

4. შერჩევის ერთეული - შერჩევის პირველადი ერთეულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

5. შერჩევის საბოლოო ერთეულები

1. სკოლის დირექტორი
2. სკოლის პედაგოგი

6. შერჩევის ჩარჩო

სკოლებისთვის შერჩევის ჩარჩოდ გამოვიყენეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბაზა. თითოეული შერჩეული სკოლიდან გამოიკითხა სკოლის დირექტორი და რამოდენიმე პედაგოგი.

ბაზის მიხედვით, საქართველოში ფუნქციონირებს 2449 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ყველა სკოლაში ერთად მუშაობს 72000 პედაგოგი.

7. შერჩევის მეთოდი და შერჩევის ფორმირება

სკოლების შესარჩევად გამოვიყენეთ მრავალსაფეხუროვანი სტრატეგიცირებული შერჩევა.

სკოლების შერჩევის პირველ საფეხურზე განისაზღვრა თბილისსა და თითოეულ რეგიონში გამოსაკითხი სკოლების რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაში არსებული თანაფარდობის პროპორციულად. თითოეულ რეგიონში აირჩა სამი ტიპის დასახლებული პუნქტი: რეგიონული ცენტრი, რაიონული ცენტრი და დაბა / სოფლის ტიპის დასახლება. თითოეულ სტრატაში გამოსაკითხი სკოლების საერთო რაოდენობა, მათში საჯარო და კერძო სკოლების, ქართული და არაქართული სკოლების რაოდენობა გენერალური ერთობლიობის პროპორციულად იქნა აღებული.

თითოეული სტრატის შიგნით მარტივი შემთხვევითი შერჩევით შეირჩა სკოლების სასურველი რაოდენობა კონტრაქტით გათვალისწინებული დასაშვები ცდომილების მისაღებად.

დირექტორების შერჩევა - შერჩეულ სკოლებში გამოიკითხა ყველა დირექტორი, სავსელ სამუშაოებისას რამოდენიმე სკოლაში გამოიკითხა დირექტორის მოადგილე, დირექტორის ქვეყანაში არყოფნის ან მისი შვებულებაში ყოფნის გამო.

პედაგოგების შერჩევა - თითოეულ შერჩეულ სკოლაში გამოიკითხა რამოდენიმე პედაგოგი (3-9 პედაგოგი რეგიონების მიხედვით). ინტერვიუერებს პედაგოგთა საგნებისა და ასაკის მიხედვით შერჩევისთვის მიეცათ ქვოტები, სქემა მოცემულია ინტერვიუერის ინსტრუქციაში.

8. შერჩევის აღწერა

შერჩევის მოცულობა თითოეულ სამიზნე ჯგუფში

ცხრილი 1 - შერჩევის მოცულობა, შერჩევის ცდომილება

სამიზნე ჯგუფი	გენერალური ერთობლიობა	შერჩევის მოცულობა	შერჩევის ცდომილება ქვეყნის მასშტაბით
1. სკოლის დირექტორი	2449	323	5.1%
2. სკოლის პედაგოგები	72000	1372	2.6%

შერჩევის ცდომილება გამოთვლილი იქნა შემდეგი ფორმულით

$$e = \sqrt{\frac{z^2 pq(N-n)}{(N-1)n}}$$

სადაც,

e – შერჩევის ცდომილებაა

z – სტატისტიკური კონსტანტა 95% სანდოობის დონისთვის და ტოლია 1.96-ს

$p=1-q$ მოვლენის მოხდენის / არ მოხდენის ალბათობა, ჩვენს შემთხვევაში ავიღეთ 0.5 მნიშვნელობა, რადგან ამ დროს შერჩევის ცდომილება აღწევს თავის მაქსიმუმს

N – გენერალური ერთობლიობის მოცულობა

n – შერჩევის მოცულობა

ცხრილი 2 - კერძო სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონები	რაოდენობა
თბილისი	18
აჭარა	3
გურია	2
იმერეთი	5
კახეთი	2
მცხეთა-მთიანეთი	1
რაჭა-ლეჩხუმი	0
სამეგრელო	2
სამცხე-ჯავახეთი	0
ქვემო ქართლი	3
შიდა ქართლი	2
სულ კერძო სკოლა	38

ცხრილი 3 - არაქართული სკოლების რაოდენობა

რეგიონების მიხედვით	შერჩევის მოცულობა
ქვემო ქართლი	16
თბილისი	5
სამცხე-ჯავახეთი	14
იმერეთი	1
გურია	0
კახეთი	1
რაჭა	0
სამეგრელო	0
შიდა ქართლი	0
სულ არაქართულენოვანი სკოლა:	37

მონაცემთა შემოწმება და კოდირება

შემოწმდა ინტერვიუერთა მიერ ანკეტის შევსების სისწორე, კონტროლის ჯგუფის წევრები დაუკავშირდნენ რესპონდენტებს. შემოწმდა ყველა ინტერვიუერის ნამუშევრის 20%. მცირე ხარვეზები აღმოჩენილი იქნა მხოლოდ შემოწმების პირველ ეტაპზე, ანუ კითხვარის ვიზუალური დათვალიერების ეტაპზე. ტიპური შეცდომა იყო ინტერვიუერთა გვარების და სახელების გრაფის გამოტოვება, რაც თავად ინტერვიუერებმა შეასწორეს.

კითხვარების კოდირება და დაამუშავება მოხდა შემდეგი პროცედურებით:

- კითხვარის შევსების სისწორის დადგენა.
- მიღებული კითხვარების რეგისტრაცია, მათთვის უნიკალური კოდის მინიჭება
- ღია კითხვების კოდირება

მონაცემთა შეყვანა სტატისტიკურ პროგრამაში:

მონაცემები შევიყვანეთ სტატისტიკურ პროგრამაში SPSS. მონაცემები გაიწმინდა, შეყვანის ეტაპზე მოხდა უკიდურსი ან/და შეუსაბამო მონაცემების გადამოწმება ტელეფონის საშუალებით. მაგ: რესპონდენტის ასაკისა და სტაჟის შეუსაბამობა, ასაკის გადამოწმება და ა.შ.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი:

მონაცემები დამუშავდა სტატისტიკის კანონების მიხედვით. ტექსტში ყველგან მოვიყვანეთ მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მონაცემები.

მონაცემთა ანალიზისას გამოყენებული იქნა აღწერითი და ახსნითი სტატისტიკის მეთოდები:

1. სიხშირეების და პროცენტების გამოთვლა
2. საშუალოთა შედარების კრიტერიუმები (T Test One-Way ANOVA)
3. კროსტაბულაციური ანალიზი (Chi-Square Tests)

დემოგრაფიული მონაცემები, პედაგოგთა განაწილება სხვადასხვა ჯგუფში

ცხრილი 4 - რესპონდენტთა განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით

დასახლების ტიპი	დირექტორები		პედაგოგები	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
დედაქალაქი	45	13,9	194	14,1
რეგიონული ცენტრი	72	22,3	274	20
რაიონული ცენტრი	93	28,8	373	27,2
დაბა / სოფელი	113	35	531	38,7
სულ:	323	100	1372	100

ცხრილი 5 - რესპონდენტთა განაწილება სწავლების ენის მიხედვით

რა ენაზე ხდება სწავლება სკოლაში	დირექტორები		პედაგოგები	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ქართულ ენაზე	264	81,7	1155	84,2
რუსულ ენაზე	8	2,5	33	2,4
აზერბაიჯანულ ენაზე	14	4,3	43	3,1
სომხურ ენაზე	14	4,3	60	4,4

სკოლა ორენოვანია	23	7,1	81	5,9
სულ	323	100	1372	100

ცხრილი 6 - რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით

რესპონდენტის სქესი	სულ		დირექტორები		პედაგოგები	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ქალი	1501	88,6	214	66,3	1287	93,8
კაცი	194	11,4	109	33,7	85	6,2
სულ	1695	100	323	100	1372	100

გამოკითხულ დირექტორთა საშუალო ასაკი 47-ის ტოლია, მინიმალური ასაკი 23, ხოლო მაქსიმალური 80 წელია. გამოკითხულ პედაგოგთა საშუალო ასაკი 45 წელია, მინიმალური ასაკი 19, ხოლო მაქსიმალური 80 წელია.

ცხრილი 7 - რესპონდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით

ასაკი	სულ	%	დირექტორები	%	პედაგოგები	
18-34	240	14,2	37	11,5	203	14,8
35-59	1290	76,1	251	77,7	1039	75,7
60-80	160	9,4	33	10,2	127	9,3
არ დაასახელეს ასაკი	5	0,3	2	0,6	3	0,2
სულ:	1695	100	323	100	1372	100

გამოკითხულ პედაგოგთა საშუალო სტაჟი 20 წელია მინიმალური სტაჟი 1, ხოლო მაქსიმალური 54 წელია.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 402-მა დაწყებითი კლასის პედაგოგმა.

→ ტექნიკა და ინსტრუმენტი

კვლევაში გამოვიყენეთ პირისპირ ინტერვიუების მეთოდი. ინტერვიუ ჩატარდა სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარი ეხებოდა მასწავლებლებს და დირექტორებს, თუმცა, კითხვების ნაწილი მხოლოდ მასწავლებლებს, ან

მხოლოდ დირექტორებს დავუსვით. ამისათვის, კითხვარში გაკეთდა სპეციალური აღნიშვნები.

კითხვარი ითარგმნა რუსულ ენაზე. რუსული ანკეტები გამოყენებული იყო იმ სკოლებში, სადაც ინტერვიუერიც და რესპონდენტიც მხოლოდ რუსულ ენას ფლობდა: სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქის რაიონი. დანარჩენ არაქართულ სკოლებში შესავსებად გამოყენებული იყო ქართული ანკეტა, ხოლო კითხვები რესპონდენტებს დაესმოდათ იმ ენაზე, რომელსაც თავად ირჩევდა. კითხვარი შეიცავს 101 კითხვას, დემოგრაფიული ნაწილის გარდა, რომელიც, თავის მხრივ, 10 კითხვას მოიცავს. 101 კითხვა გაერთიანებულია 11 თემატურ ბლოკში, ამ ბლოკების მიხედვითაა წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგები.

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან. შესავალ ნაწილში განხილულია კვლევის მიზნები და მეთოდი. შედეგების აღწერა წარმოდგენილია მეორე ნაწილში თერთმეტი ბლოკის მიხედვით. ესენია: ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობა; მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები; ეთიკის კოდექსი; მენტორობა-მამიებლობის ინსტიტუტი; პედაგოგთა სერტიფიცირება; მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოები; ჟურნალი "მასწავლებელი"; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები; ცენტრისა და მასწავლებლების ვაკანსიების ვებ-გვერდის შეფასება; პროგრამა "ასწავლე საქართველოსთვის"; თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან. მესამე ნაწილში მოყვანილია კვლევის დასკვნები, ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები. გარდა ამისა, კვლევას თან ერთვის დამატებითი მასალა დანართების სახით.

ბლოკი 1 (ინფორმირებულობა ცენტრის შესახებ)


მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შესახებ ზოგადი ინფორმირებულობის დონე მაღალია. ცენტრის შესახებ საერთოდ არ სმენია მასწავლებლების დაახლოებით 6%-ს და დირექტორების 3 %-ს.

ესენი არიან ძირითადად ქვემო ქართლის - 60%, სამცხე-ჯავახეთის - 30% და კახეთის - 10% სკოლების დირექტორები; შესაბამისად, მათი უმეტესობის სკოლა არის აზერბაიჯანული - 50% და სომხური - 30%, 10-10%-ის სკოლაა ქართული და რუსული. ისინი ძირითადად საჯარო საშუალო სკოლას წარმოადგენენ - 90%, 10% - საბაზო საშუალო სკოლაა.

ესენი არიან ძირითადად ქვემო ქართლის - 35.3%, სამცხე-ჯავახეთის - 33.3% და თბილისის - 11.5% მასწავლებლები; შესაბამისად, მათი უმეტესობის სკოლა არის სომხური - 26.9%, აზერბაიჯანული - 25.6% და ქართული - 25.6%. ისინი ძირითადად საჯარო საშუალო სკოლას წარმოადგენენ - 88.5%, 9% - საბაზო საშუალო სკოლაა.


ინფორმირებულობის დონე განსხვავდება მასწავლებლებსა და დირექტორებს შორის - დირექტორები უფრო ინფორმირებულნი არიან ცენტრის საქმიანობის შესახებ და ეს განხვავება სტატისტიკურად სანდოა. ცენტრის საქმიანობას კარგად იცნობს მასწავლებლების მხოლოდ 16.5 % (სქემა #1), ხოლო დირექტორებში - თითქმის ნახევარი.

სქემა 1 - გსმენიათ თუ არა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შესახებ? (დირ. პედ.)




განსხვავება აღმოჩნდა ქართულ და არაქართულენოვან სკოლებს შორის ცენტრის შესახებ ინფორმირებულობის კუთხით: არაქართულენოვანი სკოლების ბევრად მეტ პროცენტს საერთოდ არაფერი სმენია, და მხოლოდ სმენია ცენტრის შესახებ, ხოლო ქართულენოვანი სკოლების ბევრად მეტი პროცენტი ზოგადად და კარგად იცნობს ცენტრის საქმიანობას.

სქემა 2 - გსმენიათ თუ არა ცენტრის საქმიანობის შესახებ? (ქართ. და არაქართ. სკოლები)



სხვაობაა აგრეთვე, რეგონებსა და დედაქალაქს შორის: რეგონების სკოლები უკეთ იცნობენ ცენტრის საქმიანობას, ვიდრე - თბილისის.

სქემა 3 - გსმენიათ თუ არა ცენტრის საქმიანობის შესახებ? (დედაქალაქი, რეგიონები)



კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები და დირექტორები, ძირითადად, სწორად არიან ინფორმირებული ცენტრის სტატუსის შესახებ. მათგან, ვინც ინფორმირებულია ცენტრის შესახებ (ასეთია მასწავლებელთა 95%-მდე და დირექტორთა 97%-მდე), უმეტესობას მიაჩნია, რომ ცენტრი სამინისტროს სტრუქტურული ერთეულია, დაახლოებით 5% ამბობს, რომ არ იცის, რას წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 13% კი ამბობს, რომ ცენტრი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა.

ცენტრის ფუნქციებად მზა ჩამონათვალის გარეშე პედაგოგებმა და დირექტორებმა შედარებით ხშირად დაასახელეს: პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება - 73% და 76%, ახალი ინფორმაციის მიწოდება - 19%. დირექტორების 14%-მა ასევე დაასახელა „სერტიფიცირებისათვის მასწავლებელთა მომზადება“. იგივე პასუხი მასწავლებელთა მხოლოდ 3%-მა გასცა, - მასწავლებლები არ თვლიან, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადება ცენტრის ფუნქციაა.


ცენტრის ფუნქციების ჩამონათვალიდან 4 ძირითადი ფუნქციის შერჩევას მასწავლებელთა და დირექტორთა პასუხებში გამოვლინდა განსხვავებები. შედარებისას ჩანს, რომ დირექტორები უფრო სწორად ასახელებენ ცენტრის ძირითად ფუნქციებს. განსხვავებები მასწავლებელთა და დირექტორთა პასუხების სიხშირეებს შორის ჩანს შემდეგ პუნქტებში:

შეიმუშავოს მასწავლებლის სერტიფიცირების სისტემა

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შემუშავება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (სქემა #4).


სქემა 4 - ვთხოვეთ, ჩამოთვალეთ ცენტრის 4 ძირითადი ფუნქცია



ცენტრის რეალური ფუნქციებიდან ყველაზე დაბალი სიხშირით დირექტორებშიც და პედაგოგებშიც დასახელდა მასწავლებელთა მონაცემების ბაზის შექმნა. სავარაუდოდ, ამ პუნქტის შესახებ ინფორმირების დონე დაბალია, თუმცა ეს სერვისი მასწავლებლებისთვის ნაკლებად აქტუალურია. ამავდროულად, საკმაოდ ბევრი მასწავლებელი და დირექტორი ასახელებს ისეთ ზოგად ფუნქციებს, რომლებიც ცენტრის საქმიანობის უშუალო სფეროს არ განეკუთვნება. მაგალითად, ყოველი მეხუთე მასწავლებელი თვლის, რომ ცენტრმა უნდა დააჯილდოვოს მასწავლებლები კარგი შრომისათვის. ასევე, მასწავლებელთა დაახლოებით 75 % თვლის, რომ ცენტრი ვალდებულია შეატყობინოს მასწავლებლებს სკოლის სფეროში არსებული ყველა სიახლის შესახებ. სავარაუდოდ, მასწავლებლებსა და დირექტორებს არ აქვთ მკაფიო წარმოდგენა, თუ რა ინფორმაციას ვისგან უნდა იღებდეს.

გამოკითხულებს, აგრეთვე, ვთხოვეთ დამატებით დაესახელებინათ ფუნქციები, რომლებსაც მათი აზრით უნდა ასრულებდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ასეთი ფუნქციები, რესპონდენტთა აზრით, აღმოჩნდა: საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, საგნობრივი ტრენინგების ჩატარება, მასწავლებელთა დაფინანსება, მასწავლებელთა ინტერესების დაცვა, პედაგოგების პროფესიული ლიტერატურით მომარაგება (სქემა #5).


სქემა 5 - კიდევ რა ფუნქციებს უნდა ასრულებდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი?



დირექტორებიც და მასწავლებლებიც ცენტრის მუშაობის ეფექტურობას 10-ქულიან სკალაზე საშუალოზე მაღალ შეფასებას აძლევენ (დირექტორები -8.2 და მასწავლებლები - 7.7), მასწავლებლებთან შედარებით დირექტორები ცენტრის მუშაობას უფრო ეფექტურად თვლიან.


რეგიონების მიხედვითაც შეფასებები საშუალოზე მაღალია (აღმატება 7.3-ს 10 ბალიან სკალაზე), თუმცა, განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. შედარებით დაბალ შეფასებას ცენტრის საქმიანობას აძლევს აჭარა, გურია, რაჭა, შიდა ქართლი და თბილისი (სქემა # 6).

სქემა 6 - ცენტრის საქმიანობის საშუალო შეფასება 10 ბალიან სკალაზე რეგიონების მიხედვით




ცენტრის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ გამოკითხული მასწავლებლების 82 %-მა დაასახელა დირექტორები. აგრეთვე, დირექტორებმა და პედაგოგებმა დაასახელეს რესურს-ცენტრები, ჟურნალი "მასწავლებელი" და ცენტრის ვებგვერდი, ნაკლებად – ტელერეკლამა და შეხვედრები ცენტრის წარმომადგენლებთან. სქემიდან (სქემა #7) ჩანს, რომ ამ წყაროებს უფრო მეტი დირექტორი მიმართავს, ვიდრე მასწავლებელი.

სქემა 7 - საიდან იღებთ ინფორმაციას ცენტრის საქმიანობის შესახებ?




რესპონდენტებმა არ დაასახელეს სხვა წყაროები, საიდანაც ისურვებდნენ ინფორმაციის მიღებას, თუმცა, მათი აზრით, ცენტრმა უნდა მოაწყოს მეტი შეხვედრა, ასევე, ფოკუს ჯგუფების შედეგების მიხედვით, ინფორმაციის გავრცელების კუთხით უფრო ეფექტურად უნდა იმუშავონ რესურს ცენტრებმა და ცენტრის ვებ გვერდმა. (სქემა #8).

სქემა 8 - საიდან გირჩევნიათ ინფორმაციის მიღება ცენტრის საქმიანობის შესახებ?



აგრეთვე, პედაგოგებს ვკითხეთ, რამდენად საკმარისი იყო მათთვის დირექტორებისაგან მიღებული ინფორმაცია. კმაყოფილია 80%, ხოლო უკმაყოფილოა გამოკითხულთა დაახლოებით 10%. აღმოჩნდა, რომ ეს მასწავლებლები ძირითადად ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელოს, ქართულენოვანი საჯარო საშუალო სკოლებიდან არიან.


სქემა 9 - რამდენად საკმარისია დირექტორების მიერ თქვენთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია?



გვინტერესებდა ასევე, რამდენად საკმარისი იყო დირექტორებისათვის რესურს ცენტრებისგან მიღებული ინფორმაცია: კმაყოფილია გამოკითხულთა 74%, უკმაყოფილოა - 10%.

სქემა 10 - რამდენად საკმარისია რესურს-ცენტრების მიერ თქვენთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია?

რამდენად საკმარისია რესურს-ცენტრების მიერ თქვენთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია?




ზოგადად, სქემების #9,10 ანალიზიდან ჩანს, რომ ინფორმაციის გადაცემის კუთხით დირექტორები ეფექტურად ასრულებენ შუამავლის როლს სკოლასა და რესურს ცენტრებს შორის. თუმცა, შესაძლოა ამ ასპექტში მასწავლებლების მიერ დირექტორების შეფასება გადაჭარბებულია, რადგან ცენტრის ძირითადი ფუნქციების და კონკრეტული პროექტების შესახებ მასწავლებლებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ამასთანავე დირექტორების მხოლოდ მესამედი, მათივე შეფასებით, იღებს სრულ ინფორმაციას რესურსცენტრებისაგან. კვლევა არ იძლევა ინფორმაციას იმის


შესახებ, რომ მასწავლებელთა პროფესიული ცენტრი არასრულ ნფორმაციას აწვდის რესურს-ცენტრებს, თუ რესურს-ცენტრები კარგავენ ინფორმაციის ნაწილს.

აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროდუქცია, კერძოდ, ჟურნალი “მასწავლებელი” და მასწავლებლების დამხმარე სახელმძღვანელოები გამოკითხულთა 95%-ისთვის ხელმისაწვდომია. მათ, ვისაც ის პირადად არა აქვს (80%-მდე) ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეუძლია სკოლის ბიბლიოთეკას მიაკითხოს. ჟურნალი „მასწავლებელი“ პირადად უფრო მეტ დირექტორს აქვს, ვიდრე მასწავლებელს. პედაგოგების დაახლოებით 20%-მა არ იცის, არის თუ არა ეს პროდუქცია სკოლის ბიბლიოთეკაში, მაშინ როდესაც დირექტორების დიდი ნაწილი ამბობს, რომ არის. სავარაუდოდ, ყოველი მეხუთე გამოკითხული მასწავლებელი უბრალოდ არ დაინტერესებულა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებით.

სქემა 11 - გაქვთ თუ არა ცენტრის პროდუქცია (დირექტორები)?




სქემა 12 - გაქვთ თუ არა ცენტრის პროდუქცია (მასწავლებლები)?




მასწავლებელთა დაახლოებით 70% კითხულობს პროფესიულ წიგნებს და პერიოდიკას, ხოლო 25%-მდე ინტერნეტით ეცნობა პროფესიულ ინფორმაციას. პასუხების სიხშირე მძალაია. შესაძლოა, ეს სოციალური სასურველობის ეფექტით აიხსნას.

სქემა 13 - კითხულობთ თუ არა რაიმე სახის პროფესიულ ლიტერატურას?



სქემა 14 - რა ენაზე ეცნობით პროფესიულ ლიტერატურას?




ქართულენოვანი მასწავლებლები ამ ინფორმაციას ძირითადად ქართულად ეცნობიან, 20% ეცნობა რუსულად, ხოლო ინგლისურად 2.2%. არაქართულენოვანი მასწავლებლების უმეტესობა ამ ინფორმაციას აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ეცნობა, შემდეგ კი - რუსულად (55%).

ბლოკი II – მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები

დირექტორების უფრო დიდი ნაწილი იცნობს მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტს, ვიდრე მასწავლებლების. სტანდარტის შესახებ საერთოდ არ სმენია მასწავლებლების დაახლოებით მეხუთედს. მათგან, ვინც იცის ამ დოკუმენტის შესახებ, თითქმის ნახევარს - 39.6%-ს - მხოლოდ სმენია, ანუ, მასწავლებლების ნახევარზე მეტი პრაქტიკულად არ იცნობს დოკუმენტს.

სქემა 15 - გსმენიათ თუ არა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შესახებ?



ქართულენოვან სკოლებში მასწავლებლების 51.8% იცნობს დოკუმენტს, 35.8%-ს სმენია, 12.5% - არ იცნობს.

არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებლების 16.1% იცნობს დოკუმენტს, 48.2%-ს სმენია, 35.7% - არ იცნობს.

ზოგადად, კვლევის მონაცემების თანახმად, სტანდარტის განხილვებში მასწავლებლების როლი უმნიშვნელოა. მასწავლებელთა იმ 40%-დან, ვინც რეალურად იცნობს პროფესიულ სტანდარტს, მხოლოდ 21.2%-ს ჰქონდა შენიშვნა, ხოლო 78.8%-ს - არა.

მასწავლებლებს უჭირთ მათ მიერ გამოთქმული კონკრეტული შენიშვნების გახსენება, რადგან, იმ 21.2%-დან, ვისაც შენიშვნა ჰქონდა, მხოლოდ 3.6%-მა გაიხსენა ეს შენიშვნები. ძირითადად, დასახელდა შემდეგი შენიშვნები:

- ბევრი მოთხოვნაა პედაგოგების მიმართ - 0.9%
- საჭიროა მეტი ტრენინგების ჩატარება - 0.2%
- საჭიროა პედაგოგებისთვის სერტიფიცირების შედეგების მიხედვით ხელფასის განსაზღვრა - 0.1%


- გაუგებარი იყო ზოგიერთი მასალა და ტერმინი - 0.9%
- საჭიროა პედაგოგების ლიტერატურით მომარაგება- 0.3%
- მე-12 კლასის სახელმძღვანელო არ შეესაბამება სტანდარტს- 0.1%
- ტრიმესტრულ სწავლებასთან დაკავშირებით - 0.1%
- დაბალი იყო სტანდარტის დონე - 0.1%
- საჭიროა ფსიქოლოგი სკოლაში- 0.2%

დასახელებული შენიშვნების უმრავლესობა სტანდარტის შინაარსობრივ ნაწილთან კავშირში არ არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ პედაგოგები კარგად არ იცნობენ დოკუმენტს, ან უჭირთ შენიშვნების ფორმულირება.

აგრეთვე, ნაკლებად ეფექტური იყო სტანდარტის შიდა სასკოლო განხილვებიც. მათგან, ვინც იცნობს მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტს, 76.6%-მა მონაწილეობა მიიღო მის შიდასასკოლო განხილვაში, მათმა 7.8%-მა გამოთქვა შენიშვნები. მათგან, 27.2%-მა იცის, რომ მათი შენიშვნები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა გაიზიარა, ხოლო 3.5%-მა იცის, რომ – არა. დანარჩენმა 69.3%-მა არ იცის, გაიზიარეს თუ არა მისი შენიშვნები.

დირექტორებისა და პედაგოგების უმრავლესობას მიაჩნია, რომ სტანდარტი უნდა განსაზღვრავდეს მაქსიმალურ მოთხოვნებს. დირექტორების 20%-მა და მასწავლებლების 40%-მა არ იცის, რეალურად როგორ მოთხოვნებს განსაზღვრავს სტანდარტი. მათი უმრავლესობა, ვინც იცნობს ან სმენია სტანდარტის შესახებ და უპასუხა ამ კითხვას თვლის, რომ სტანდარტი მართლაც განსაზღვრავს მაქსიმალურ მოთხოვნებს.

სქემა 16 - თქვენი აზრით, როგორი არის სტანდარტი?



მათგან, ვისაც მიაჩნია, რომ სტანდარტში უნდა იყოს მაქსიმალური მოთხოვნები მასწავლებლებისადმი:

75.1% ფიქრობს, რომ ეს ასეა;

1.3% თვლის, რომ სტანდარტში მინიმალური მოთხოვნებია

22.7% თვლის, რომ სტანდარტში საშუალო მოთხოვნებია

მათგან, ვისაც მიაჩნია, რომ სტანდარტში უნდა იყოს მინიმალური მოთხოვნები მასწავლებლებისადმი:

63.6% ფიქრობს, რომ სტანდარტში მაქსიმალური მოთხოვნებია;

16.7% თვლის, რომ სტანდარტში მინიმალური მოთხოვნებია

19.7% თვლის, რომ სტანდარტში საშუალო მოთხოვნებია

მათგან, ვისაც მიაჩნია, რომ სტანდარტში უნდა იყოს საშუალო მოთხოვნები მასწავლებლებისადმი:

60.3% ფიქრობს, რომ სტანდარტში მაქსიმალური მოთხოვნებია;

1.8% თვლის, რომ სტანდარტში მინიმალური მოთხოვნებია

37.0% თვლის, რომ სტანდარტში საშუალო მოთხოვნებია

მასწავლებლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 56% თვლის (აქ შედიან ის მასწავლებლებიც, რომლებიც კვლევის მონაცემების მიხედვით, თავად არ იცნობენ სტანდარტს და მხოლოდ სხვათა მოსაზრებებს ეყრდნობიან), რომ სტანდარტის მოთხოვნები მისაღებია, და მხოლოდ 4.8% ამბობს, რომ ისინი არ არის მისაღები შემდეგი მიზეზების გამო:


- შესამცირებელია მასალის მოცულობა;
- სტანდარტები საგნების მიხედვით თანაბარი სირთულის უნდა იყოს
- 24.3%-ს მიაჩნია, რომ სტანდარტის მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ბლოკი III - ეთიკის კოდექსი

კვლევის თვისებრივ ნაწილში რესპონდენტებმა ცენტრის საქმიანობის მიმოხილვისას გაამახვილეს ყურადღება ეთიკის კოდექსზე. აქედან გამომდინარე, კითხვარის საწყის ვარიანტში დამატებული იქნა რამდენიმე კითხვა ამ თემასთან დაკავშირებით.

დირექტორები უფრო ინფორმირებულნი არიან ეთიკის კოდექსის შესახებ, ვიდრე მასწავლებლები.

სქემა 17 - გსმენიათ თუ არა ეთიკის კოდექსის სამუშაო ვერსიის შესახებ?



მასწავლებელთა 93.7%-ის აზრით, ეთიკის კოდექსი სჭირია, 5.5%-ის აზრით - არ არის საჭირო, ხოლო 0.8%-მა არ იცის, საჭიროა თუ არა. იგივე აზრის არიან დირექტორებიც. დირექტორებსა და მასწავლებლებს პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა.

მათგან (93.7%), ვისაც მიაჩნია, რომ ეთიკის კოდექსი საჭირო დოკუმენტია, 85.2% ფიქრობს, რომ კოდექსის არსებობა საკმარისი არ არის, უნდა არსებობდეს მისი შესრულება/შეუსრულებლობის დაფიქსირების და სათანადო რეაგირების მექანიზმები, ხოლო 14.8% ფიქრობს, რომ სასურველია ყველა იცნობდეს ეთიკის კოდექსს, თუმცა სავალდებულო არ უნდა იყოს მისი დაცვა. მათგან (93.7%), ვისაც მიაჩნია, რომ ეთიკის კოდექსი საჭირო დოკუმენტია, უფრო მეტი დირექტორი ემხრობა კოდექსის საერთო დოკუმენტის არსებობას, ვიდრე მასწავლებელი.

- დირექტორთა 84.7% და მასწავლებელთა 75.8% ფიქრობს, რომ უნდა არსებობდეს მასწავლებელთა ეთიკის კოდექსის ყველასთვის საერთო დოკუმენტი
- დირექტორთა 15.3% და მასწავლებელთა 24.2% ფიქრობს, რომ ყველა სკოლას თავისი კოდექსი უნდა ჰქონდეს, საერთო კოდექსი საჭირო არაა

ფოკუს ჯგუფებზე რესპონდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, იარსებებს თუ არა ცალკე ეთიკის კოდექსი, ეთიკური ნორმები შეიძლება აისახოს სკოლის შინაგანაწესში.


მასწავლებელთა 98.8%-ის მიხედვით, მათ სკოლაში არსებობს შინაგანაწესი, ხოლო 0.5%-ის მიხედვით – არა. კიდევ 0.7%-მა არ იცის, აქვს თუ არა შინაგანაწესი. დირექტორების და მასწავლებლების პასუხების პროცენტული განაწილება ერთმანეთს ემხვევა. დირექტორებსა და მასწავლებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩნდა

მასწავლებელთა 92.5%-ის მიხედვით, შინაგანაწესის სამუშაო ვერსია შეიმუშავა ადმინისტრაციამ. სამუშაო ვერსია განიხილეს სკოლაში და შეიტანეს დოკუმენტში ცვლილებები. მასწავლებელთა 5.3%-ის მიხედვით, ადმინისტრაციამ მათ შინაგანაწესის მზა დოკუმენტი გააცნო. 0.1%-ის მიხედვით, შინაგანაწესის შემუშავებაში მათ სხვა ორგანიზაცია დაეხმარა.

ბლოკი IV მენტორობა-მადიებლობა

ზოგადად, გამოკითხული მასწავლებლებისა და დირექტორების ნახევარზე მეტმა იცის მენტორობა-მადიებლობის პროგრამის შესახებ, თუმცა დირექტორები უფრო ინფორმირებულნი არიან, ვიდრე მასწავლებლები.

სქემა 18 - გსმენიათ თუ არა მადიებლობის ინსტიტუტის შესახებ?




პედაგოგთა 63.3%-თან შევამოწმეთ, რა იციან მათ ამ ინსტიტუტის შესახებ, სწორი წარმოდგენა აქვთ მასზე, თუ – არა. აღმოჩნდა, რომ მათ 93.8%-ს სწორი ინფორმაცია ჰქონდა მადიებლობის შესახებ, არასწორი პასუხები მოგვცა გამოკითხულთა მხოლოდ 6.1%-მ პროცენტმა, მათგან, 2.4%-ს მიაჩნია, რომ მადიებელი არის მასწავლებელი, რომელიც სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს, ხოლო 3.7%-ს, რომ მადიებელი არის მასწავლებელი, რომელიც ეძებს სამუშაოს.

ასევე, გამოკითხულ დირექტორთა 89.7%-ს და მასწავლებელთა 78.9%-ს სწორად ესმოდა, ვინ არის მენტორი, ხოლო დირექტორთა 10.3%-ს და მასწავლებელთა 21.1%-ს – არასწორად. მათგან, დირექტორების 8.8% და მასწავლებლების 19.2% თვლის, რომ მენტორი უბრალოდ გამოცდილი მასწავლებელია, დირექტორების და მასწავლებლების 1.1%-ს მიაჩნია, რომ მენტორი არის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მეთოდისტი, რომელიც ხელმძღვანელობს მადიებლის მიერ სკოლაში პრაქტიკის გავლას, ხოლო დირექტორების 0.4% და მასწავლებლების 0.8% თვლის, რომ მენტორი არის სკოლის დირექტორი.

უფრო მეტ მასწავლებელს ესმის სწორად მადიებლის განმარტება და არა მენტორის. მათ უმეტესობას, ვისაც სწორად ესმის მადიებლის განმარტება, ასევე სწორად ესმის მენტორის განმარტება – 83.0%.

პედაგოგების 83.1% თვლის, რომ მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა საჭიროა. მხოლოდ 5%-ს არ მიაჩნია ამ ინსტიტუტის დანერგვა საჭიროდ. დირექტორების 92.9.1% თვლის, რომ მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა საჭიროა და მხოლოდ 3.1%-ს არ მიაჩნია ამ ინსტიტუტის დანერგვა საჭიროდ.


სქემა 19 საჭიროა თუ არა მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა საქართველოში?



გამოკითხულ მასწავლებელთა 52.1%-ს და დირექტორთა 60.1%-ს მიაჩნია, რომ მაძიებლობის ინსტიტუტში არაფერია შესაცვლელი, მასწავლებელთა 38.8% და დირექტორთა 34.1% თვლის, რომ მაძიებელი სკოლაში უნდა გადიოდეს მაძიებლობის პერიოდს უმაღლესში სწავლის პროცესში და არა მის შემდეგ, ხოლო დირექტორთა 5.8% და პედაგოგთა 9.1% ფიქრობს, რომ მაძიებელი სკოლაში უნდა გადიოდეს მაძიებლობის პერიოდს, მაგრამ მენტორის გარეშე.

პედაგოგთა 72.3%-ს და დირექტორთა 92.5%-ს უნდა, რომ მის სკოლაში განხორციელდეს ეს პროგრამა, პედაგოგთა 5.9%-ს და დირექტორთა 4.4%-ს არ უნდა, ხოლო პეაგოგთა 21.8%-ის და დირექტორთა 3.1%-ისათვის სულერთია. შესაბამისად, დირექტორებთან შედარებით, ნაკლებ მასწავლებელს უნდა თავის სკოლაში ამ პროგრამის განხორციელება, მაგრამ ამავე დროს ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ იდეას, უბრალოდ ყოველი მეხუთე მასწავლებელი ნეიტრალურად არის განწყობილი.

სქემა 20 - გსურთ თუ არა რომ თქვენს სკოლაში განხორციელდეს მამიებლობის პროგრამა?



მათ, ვისაც სურს ამ პროგრამის საკუთარ სკოლაში განხორციელება, ვთხოვეთ დაესახელებინათ მიზეზები. ყველაზე პოპულარული მიზეზებია ის, რომ ეს ინიციატივა ახალგაზრდა თაობას დაეხმარება - 34.3%, დახელოვნდება მომავალი პედაგოგი - 13.1%, მეტი კვალიფიციური კადრი ეყოლება სკოლას - 10.8%.

მათ, ვისაც არ სურდა (ეს ეხება როგორც მასწავლებლებს, ასევე დირექტორებს) ამ ინიციატივის საკუთარ სკოლაში განხორციელება, დასახელეს რამდენიმე განსხვავებული მიზეზი:


- პედაგოგები ბევრნი ვართ და საათებთან შეექმნებათ პრობლემა - 1.2%
- საბაზო სკოლას არ გააჩნია პირობები ამ პროექტის განსახორციელებლად - 0.1%
- ერთგვარი კონკურენციის გამო - 0.4%
- სკოლა საკმაოდ პატარაა - 0.1%
- ფინანსების უქონლობის გამო - 0.1%

მასწავლებელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ თუ სკოლა თანხას გამოყოფს ამ ინიციატივისათვის, ეს უნდა იყოს თანხა მენტორისათვის - 31.0%, და ორივესათვის - 27.0%. მამიებლისათვის თანხის გამოყოფას საჭიროდ მიიჩნევს გამოკითხულთა 2.4%. არიან ისეთებიც, ვინც თვლის, რომ თანხა არ უნდა გამოიყოს - 22.6%.

დირექტორთა უმეტესობას მიაჩნია, რომ თუ სკოლა თანხას გამოყოფს ამ ინიციატივისათვის, ეს უნდა იყოს თანხა მენტორისათვის – 32.5%, და ორივესათვის – 26.0%. მამიებლისათვის თანხის გამოყოფას საჭიროდ მიიჩნევენ გამოკითხულთა 2.5%. არიან ისეთებიც, ვინც თვლის, რომ თანხა არ უნდა გამოიყოს – 32.5%.


დირექტორებს და მასწავლებლებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. დირექტორებთან შედარებით მეტია იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომლებმაც არ იციან, უნდა გამოიყოს თუ არა თანხა სკოლის ბიუჯეტიდან ამ ინიციატივისათვის. ხოლო დირექტორები მასწავლებლებზე ხშირად ემხრობიან აზრს, რომ თანხა ამ მიზნით სკოლის ბიუჯეტიდან არ უნდა გამოიყოს.

სქემა 21 - თქვენი აზრით, უნდა გამოიყოს თუ არა სკოლამ თავისი ბიუჯეტიდან თანხა მენტორის ან მამიებლის შრომის ანაზღაურებისათვის?




გამოკითხულთა უმეტესობას მიაჩნია, რომ მამიებლობისათვის საკმარისი პერიოდია ერთი წელი, დანარჩენ ვადებს გამოკითხულთა მცირე რაოდენობამ დაუჭირა მხარი.

სქემა 22 - თქვენი აზრით, რა პერიოდია საკმარისი მამძებლობისთვის?




რესპონდენტების აზრით, მასწავლებელი მენტორად მუშაობას მოინდომებს კოლეგიალობისა და ფინანსური ინტერესის გამო. ნაკლებმა, მაგრამ მაინც საკმარისი რაოდენობით რესპონდენტმა აღნიშნა ისიც, რომ თავად მენტორის გამოცდილება მატულობს ამ პროცესში. დირექტორები უფრო ფინანსურ მოტივაციაზე ამახვილებენ ყურადღებას, მასწავლებლები კი - კოლეგიალობაზე.

სქემა 23 - თქვენი აზრით, რატომ მოინდომებს მასწავლებელი მენტორად მუშაობას?




კითხვაზე, თუ რატომ არ მოინდომებს მასწავლებელი მენტორად მუშაობას გამოკითხულთა უმეტესობამ მოუცვლელობა/დროის უქონლობა დაასახელა. სხვა დასახელებული მიზეზებია: დროის ხარჯვა ამაზე არ ღირს და პოტენციურ კონკურენტს ზრდის. დატვირთულ გრაფიკს, როგორც შემაფერხებელ ფაქტორს ასახელებს უფრო მეტი მასწავლებელი, ვიდრე დირექტორი, ხოლო კონკურენციას - უფრო მეტი დირექტორი, ვიდრე მასწავლებელი.

სქემა 24 - თქვენი აზრით რატომ არ მონდომებს მასწავლებელი მენტორად მუშაობას?




მასწავლებელთა მხოლოდ 10% ამბობს, რომ არ იმუშაებდა მენტორად, კიდევ 10%-მა არ იცის, ხოლო დანარჩენები - 80% - იმუშაებდნენ. მათგან, 37.1% ნამდვილად, ხოლო 28.4% - შესაძლოა იმუშაებდა.

სქემა 25 - იმუშაებდით თუ არა მენტორად? (პედაგოგების %)



ზოგადად, მასწავლებლების და დირექტორების უმეტესობას მიაჩნია, რომ მაძიებლობის პროცესში უნდა მონაწილეობდეს დირექცია. თუმცა, პედაგოგებს და დირექტორებს შორის არის მცირე განსხვავებები - უფრო მეტი მასწავლებელი, ვიდრე დირექტორი თვლის, რომ პროცესში არავინ უნდა იყოს ჩართული მენტორის გარდა.


სქემა 26 - მენტორის გარდა ვინ უნდა იყოს ჩართული თქვენს სკოლაში მაძიებლობის პროცესში ?



პასუხებს შორის გამოვლენილ კავშირების მიხედვით, დირექტორების და მასწავლებლების თანაბარ უმრავლესობას მიაჩნია, რომ მენტორობის ინსტიტუტი საქართველოში უნდა დაინერგოს, მიუხედავად იმისა, თუ რა შეხედულება აქვთ დაფინანსების სისტემასა და თავიანთ სკოლაში ამ პროგრამის განხორციელების შესახებ. მათგან, ვინც მენტორად მუშაობას არ აპირებს, 60%-მდე მასწავლებელს მიაჩნია, რომ მენტორობის ინსტიტუტი საქართველოში უნდა დაინერგოს.

დირექტორებს ვთხოვეთ დაესახელებინათ, რომელი საგნების მასწავლებლები იმუშაებდნენ მენტორებად:

სქემა 27 - თქვენს სკოლაში რომელი საგნების მასწავლებლებს აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, რომ მენტორად იმუშაონ (დამატებითი ანაზღაურების გარეშე)?




ბლოკი V - პედაგოგთა სერტიფიცირება

გამოკითხულ მასწავლებელთა და დირექტორთა ერთნაირ პროცენტულ რაოდენობას სმენია მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის შესახებ – 99.4%. მხოლოდ 0.6%-ს არ სმენია.

მასწავლებლებისათვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა დირექტორი (86.30%). დირექტორებისათვის - რესურს ცენტრები (47.30%).

ასევე წყარობად დასახელდა : ტელევიზია, პრესა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

სქემა 28 - საიდან შეიტყვეთ მასწავლებელთა სერტიფიცირების შესახებ?




მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესის და ვადების შესახებ გამოკითხულ პედაგოგთა უმეტესობას აქვს მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია – 68.6%, 10.1%-ს აქვს ამომწურავი ინფორმაცია, რაც ერთად შეადგენს 78.7%-ს. დანარჩენი 21.3% ასე ნაწილდება:

- 20%-ს აქვს მწირი ინფორმაცია
- 1.3%-ს საერთოდ არა აქვს ინფორმაცია

სამომავლოდ, საჭიროა დამატებითი მუშაობა ამ პედაგოგებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად.

ზოგადად, დირექტორები უფრო სრულად არიან ინფორმირებულნი სერტიფიცირების პროცესის შესახებ.

სქემა 29 - რამდენად სრული ინფორმაცია გაქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს მასწავლებელთა სერტიფიცირება?



სანამ რესპონდენტებს ვკითხავდით, როგორია მათი დამოკიდებულება სერტიფიცირების მიმართ, მივაწოდეთ მოკლე ინფორმაცია მის შესახებ, რათა იმათაც გაეცათ პასუხი, ვინც არ იცოდა ამ პროცესის შესახებ.

უმეტესობა – 87.9% - მხარს უჭერს სერტიფიცირებას, თუმცა, მათ


- 55%-ს მიაჩნია, რომ ჯერ ნაადრევია მისი ჩატარება,
- 29.1% თვლის, რომ ის დროულია, ხოლო
- 3% ფიქრობს, რომ ის უფრო ადრეც უნდა დაწყებულიყო

სავრაუდოდ, ის 55%, რომელიც თვლის, რომ სერტიფიცირება ნაადრევია, არ თვლის თავს მზად ამ პროცესისათვის.

გამოკითხულ მასწავლებელთა 13% სერტიფიცირების წინააღმდეგია. მათგან უმეტესობა რეგონებიდანაა (დაახლოებით 90%).


დამოკიდებულებებში სერტიფიცირების დროულობის მიმართ დირექტორებსა და მასწავლებლებს შორის გამოჩნდა განსხვავებები. უფრო მეტი დირექტორი თვლის, რომ სერტიფიცირება დროულია, ხოლო მასწავლებლების უმეტესობა თვლის, რომ ეს პროცესი ნაადრევია.

სქემა 30 - როგორია თქვენი დამოკიდებულება სერტიფიცირების მიმართ?




დირექტორებს და მასწავლებლებს ერთნაირად აინტერესებთ სერტიფიცირებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

სქემა 31 - სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ რა საკითხებზე გსურთ ინფორმაციის მიღება? (მასწავლებლების პასუხების %)




სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს გამოკითხულ მასწავლებელთა 0.8%, ხოლო 2.8% ალბათ არ მიიღებს მონაწილეობას. ერთად ეს შეადგენს 3.6%-ს. მათგან უმეტესობა რეგიონიდანაა (80%). დანარჩენ 8.4%-ს არ გადაუწყვეტია, მიიღებს მონაწილეობას სერტიფიცირების პროცესში, თუ არა.

სქემა 32 - მიიღებთ თუ არა მონაწილეობას სერტიფიცირების პროცესში?



მასწავლებელთა ის 88%, ვინც აპირებს სერტიფიცირების გავლას, ამას აპირებს სხვადასხვა დროს, კერძოდ:


სქემა 33 - რომელ წელს აპირებთ სერტიფიცირების გავლას? (პედაგოგების %)



მასწავლებლების უმეტესობა (84.7%) თვლის, რომ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დადგენილი ვადა (2014 წლამდე) საკმარისია გამოცდებისთვის მოსამზადებლად.

მათგან, ვინც 2014 წლის შემდეგ აპირებს სერტიფიცირების გავლას, 30.6 % თვლის, რომ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დადგენილი ვადა არასაკმარისია გამოცდებისათვის მოსამზადებლად. მათგან, ვინც 2014 დ 2013 წელს აპირებენ სერტიფიცირების გავლას, შესაბამისად 16.8% და 15.3% თვლის, რომ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დადგენილი ვადა არასაკმარისია გამოცდებისათვის მოსამზადებლად. ხოლო მათგან, ვინც 2012, 2011 და 2010 წელს აპირებენ გამოცდების ჩაბარებას, შესაბამისად, 7.7%, 7.1% და 6% თვლის, რომ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დადგენილი ვადა არასაკმარისია გამოცდებისათვის მოსამზადებლად. დავინტერესდით, რატომ აპირებს სერტიფიცირების გავლას ეს 88%. მთავარი მიზეზებია საკუთარი ცოდნის და გამოცდილების ზრდა და ხელფასის ზრდა, დაახლოებით მესამედს მიაჩნია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურს დაკარგავს.

სქემა 34 - თუ აპირებთ მონაწილეობას, რატომ?




ასევე, დავინტერესდით, რატომ არ აპირებს სერტიფიცირების გავლას 12% (აქედან 8%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია). მათი დაახლოებით მესამედი აღნიშნავს, რომ საერთოდ ვერ ხედავს სერტიფიცირების საჭიროებას, მეოთხედი კი სამ მიზეზს ასახელებს:

- არ მაქვს იმედი, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები სამართლიანად ჩატარდება


- ჩემთვის გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა შეურაცხმყოფელია
- ისედაც ვაპირებ სკოლის დატოვებას (ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური პირობების, სხვა სამსახურში გადასვლის და ა.შ. გამო)

სქემა 35 - რა განაპირობებს იმას, რომ თქვენ არ მიიღებთ, ან, შესაძლოა, არ მიიღოთ მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში?




მათგან, ვინც არ აპირებს გამოცდაზე გასვლას, დაახლოებით ნახევარმა შეიძლება შეიცვალოს პოზიცია და მაინც გავიდეს გამოცდაზე:

სქემა 36 - რამდენად მოსალოდნელია, რომ შეიცვალთ პოზიცია და მიიღოთ გადაწყვეტილება სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების სასარგებლოდ?




ვფიქრობთ, მათთან, ვისაც საკენსიო ასაკი უახლოვდება, გამოცდების ჩაბარების მოტივაციის გაზრდის მიზნით მუშაობა საჭირო არ არის, ხოლო იმ 100-მდე მასწავლებელთან (გამოკითხულთა 7.28%-ია), ვისაც არ ესმის სერტიფიცირების აზრი, და იმ 88 მასწავლებელთან (გამოკითხულთა 6.41%-ია), ვინც შესაძლოა შეიცვალოს გადაწყვეტილება სერტიფიცირების სასარგებლოდ, მუშაობა საჭირო იქნება. მითუმეტეს, რომ ჩვენ დავადგინეთ ისიც, რა პრობებია საჭირო ამ ადამიანების დასარწმუნებლად.

სქემა 37 - რა შემთხვევაში შეიცვლიდით პოზიციას და მიიღებდით გადაწყვეტილებას, ჩააბაროთ სასერტიფიკაციო გამოცდები?



სქემა 38 - თქვენი აზრით სასერტიფიკაციო გამოცდების რა პრობლემა შესაცვლელი? (პედაგოგების %)




პედაგოგთა 89.7%-ს მიაჩნია, რომ იმ მასწავლებლებს, რომლებიც ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უნდა შეეძლოთ დარჩნენ სკოლაში იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის ვაკანსია ვერ შეივსო. 85.2%-ს მიაჩნია, რომ სერტიფიცირებაგავლილ მასწავლებლებს უნდა მიეცეთ პრივილეგიები, მაგალითად, გაეზარდოთ ხელფასი და სხვა. საინტერესოა, რომ 51.8%-ს მიაჩნია, რომ სერტიფიცირება ნებაყოფლობითი უნდა იყოს, ხოლო 41.8%-ს, რომ სავალდებულო.

ცხრილი 8 - ქვემოთ მოცემული წყვილი დებულებებიდან ამოირჩიეთ ის მოსაზრება რომელსაც უფრო ეთანხმებით

ქვემოთ მოცემული წყვილი დებულებებიდან ამოირჩიეთ ის მოსაზრება რომელსაც უფრო ეთანხმებით	დირექტორების %	პედაგოგების %
მიმაჩნია, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს ყველა მასწავლებლისთვის	79.7	41.8
მიმაჩნია, რომ სერტიფიცირება მხოლოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს	20.3	58.2
არ არის პასუხი	0.9%	4.6%
იმ მასწავლებლებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უარი უნდა ეთქვათ სკოლაში მასწავლებლად მუშაობაზე	22.0	10.3
იმ მასწავლებლებს, რომლებიც ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უნდა შეეძლოთ დარჩნენ სკოლაში იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის ვაკანსია ვერ შეივსო	78.0	89.7
არ არის პასუხი	1.5%	5.5%
სერტიფიცირებაგავლილ მასწავლებლებს უნდა მიეცეთ პრივილეგიები, მაგალითად, გაეზარდოთ ხელფასი და სხვა	82.8	85.2
სერტიფიცირების გავლა უნდა იყოს მასწავლებლის პროფესიონალიზმის დემონსტრირება, რომელიც არ უნდა გამოიხატოს რეალურ პრივილეგიებში (ხელფასის გაზრდა და სხვ.)	17.2	14.8
არ არის პასუხი	1.2%	5.7%

მასწავლებელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ გამოცდები უფრო სამართლიანად ჩატარდება, ვიდრე უსამართლოდ – 85.7%, ხოლო 14.3%-ს მიაჩნია, რომ – შედარებით უსამართლოდ. ზოგადად, დირექტორების მეტი წილი (პედაგოგებთან შედარებით) მიიჩნევს, რომ გამოცდები სამართლიანად ჩატარდება.

სქემა 39 - როგორ თვლით, სერტიფიცირების გამოცდა სამართლიანად ჩატარდება?



მასწავლებელთა 38% ამბობს, რომ გამოცდებს მარტივად ჩააბარებს, 48.4% კი თვლის, რომ საჭიროებს მომზადებას.

თუ სერტიფიცირების პირველი მცდელობა წარუმატებლად დასრულდება, გამოცდების ხელმეორედ ჩააბარებას: აპირებს 86.8%; არ აპირებს 4.5%; არ იცის – 8.7%.

თუ სერტიფიცირების მეორე მცდელობაც წარუმატებლად დასრულდება, გამოცდების მესამედ ჩააბარებას: აპირებს 70.9%; არ აპირებს 15.2%; არ იცის – 13.9%

გასაგებია, რომ მეორე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ნაკლებ მასწავლებელს ექნება სასერტიფიკაციო გამოცდებში ხელახალი მონაწილეობის სურვილი, თუმცა, 70% საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. როგორც ჩანს, მასწავლებლების მოტივაცია საკმაოდ მაღალია.

პედგოგების 86.5% თვლის, რომ გამოცდებისათვის დადგენილი ვადა (2014 წლამდე) საკმარისია, ხოლო 13.0% - თვლის, რომ არ არის საკმარისი. დირექტორები და მასწავლებლები დაახლოებით მსგავს პროგნოზს აკეთებენ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი პედაგოგი შეძლებს ამ გამოცდების წარმატებით ჩაბარებას.

- მათი 30%-ის აზრით, მასწავლებელთა 40-60% შეძლებს სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას;
- და მათი თითქმის ნახევარი თვლის, რომ 60-80% შეძლებს სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას.

ამ და დანარჩენი მონაცემების საფუძველზე (იხილეთ ცხრილი) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი წინასწარი მოლოდინის მიხედვით მასწავლებელთა დაახლოებით 50% წარმატებით ჩააბარებს გამოცდებს.

ცხრილი 9 - თქვენი აზრით, რამდენი პროცენტი შეძლებს სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას?

თუ თქვენი სკოლის მასწავლებელთა არსებული შემადგენლობის შესაძლებლობებს შეაფასებთ, თქვენი აზრით, რამდენი პროცენტი შეძლებს სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას?	დირექტორები	პედაგოგები
	პასუხების %	პასუხების %
5% და ნაკლები	0	0.6
5- 20%	4.2	2.8
20- 40%	8.5	6.5
40- 60%	31.1	28.6
60-80%	48.8	49.9
ყველა	7.4	11.6

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტის ნიმუშს გაეცნო მასწავლებელთა 32.1%.

მათგან, ვინც გაეცნო ტესტის ნიმუშს, 69.3% ამბობს, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას გამოცდებში, ხოლო 24.0% რომ, ალბათ მიიღებს მონაწილეობას.

მათგან, ვინც არ გაცნობია ტესტის ნიმუშს, 54.2% ამბობს, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას გამოცდებში, ხოლო 33.5% რომ, ალბათ მიიღებს მონაწილეობას.

ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ თითქმის 15%-ით მეტი მასწავლებელი უჭერს მხარს გამოცდებს, მას შემდეგ, რაც ტესტის ნიმუშს გაეცნენ.

მასწავლებელმა შეაფასა ზოგადი პროფესიული უნარების ტესტის ნიმუშის სირთულე 10-ქულიან სკალაზე (სადაც 1 ნიშნავს ძალიან ადვილს, ხოლო 10 – ძალიან რთულს), 7.45 ქულით.

მათ, ვინც ტესტის სირთულე 7 და მეტი ქულით შეაფასეს, ვთხოვეთ დაესახელებინათ მიზეზები. გამოიყო სამი მიზეზი:

ტესტის ნიმუშში ძალიან ბევრი კითხვებია – 47.37%

- ტესტში ისეთი საკითხებია, რომელზეც ინფორმაციის მოპოვება ჩემთვის ხელმიუწვდომელია – 29.70%
- საკითხების შინაარსი გაუგებარია – 21.05%

10-ქულიან სკალაზე საგნობრივი პროფესიული უნარების ტესტის ნიმუშის სირთულე (სადაც 1 ნიშნავს ძალიან ადვილს, ხოლო 10 – ძალიან რთულს), 7.02 ქულით შეფასდა.

მათ, ვინც ტესტის სირთულე 7 და მეტი ქულით შეაფასეს, ვთხოვეთ აღენიშნათ ან დაესახელებინათ მიზეზები. გამოიყო სამი მიზეზი:

- ტესტის ნიმუშში ძალიან ბევრი კითხვაა – 56.00%
- ტესტში ისეთი საკითხებია, რომელზეც ინფორმაციის მოპოვება ჩემთვის ხელმიუწვდომელია – 32.40%
- საკითხების შინაარსი გაუგებარია – 20.03%

სერტიფიცირების გამოცდების ჩაბარებაში მასწავლებლებს დაეხმარებათ:

- შესაბამისი საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამის გავლა – 79.3%
- შესაბამის საკითხებზე ლიტერატურის ხელმისაწვდომობა – 76.0%
- სერტიფიცირების პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა – 40.1%

დახმარების სამივე ტიპის განხორციელება შესაძლებელია ტრენინგ-პროგრამის დროს, ანუ, ამ პროგრამის გავლისას მასწავლებელი მიიღებს დეტალურ ინფორმაციასაც და ლიტერატურასაც, შესაძლებელია კონსულტაციის გაწევაც.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა უმეტესობას – 58.3%-ს - სურს დაწყებითი საფეხურის კლასის (1-4 კლასის) ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგანთა ჯგუფის მასწავლებლის სერტიფიკატის მიღება, სერტიფიკატის სხვა ტიპის აღების მსურველთა რაოდენობა ნაკლებია:

ცხრილი 10 - სერტიფიკატის რომელი ტიპია თქვენთვის ყველაზე მისაღები?


სერტიფიკატის რომელი ტიპია თქვენთვის ყველაზე მისაღები?	პედაგოგები		
	რაოდენობა	პასუხების %	პედაგოგების %
დაწყებითი საფეხურის კლასის (1-4 კლასის) ქართულის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგანთა ჯგუფის მასწავლებლის სერტიფიკატი;	235	33.19	58.31
დაწყებითი საფეხურის მათემატიკის საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი;	98	13.84	24.32
დაწყებითი საფეხურის ქართულის საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი;	93	13.14	23.08

დაწყებითი საფეხურის ქართულის საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი (5-6 კლასები);	68	9.6	16.87
დაწყებითი საფეხურის მათემატიკის საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი (5-6 კლასები);	57	8.05	14.14
დაწყებითი საფეხურის ბუნების საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი	37	5.23	9.18
დაწყებითი საფეხურის ბუნების საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი (5-6 კლასები);	29	4.1	7.2
დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის უცხო ენების საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი;	21	2.97	5.21
არ ვაპირებ ჩაბარებას	19	2.68	4.71
დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი;	18	2.54	4.47
დაწყებითი /საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი;	10	1.41	2.48
დაწყებითი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი (5-6 კლასები);	9	1.27	2.23
დაწყებითი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი;	7	0.99	1.74
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი;	7	0.99	1.74

ბლოკი VI - მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოები

მასწავლებლების უმეტესობისათვის ამა თუ იმ ფორმით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული დამხმარე მასალა ხელმისაწვდომია, თუმცა, ვერ გავიგებთ, ხელმისაწვდომია თუ არა პროდუქცია მათთვის, ვინც გვამლევს პასუხს “არ ვიცი, მისაწვდომია თუ არა ჩემთვის ეს მასალა”. როგორც ჩანს, ისინი არასოდეს დაინტერესებულან ამ პროდუქციით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაინტერესების/საჭიროების შემთხვევაში მათ ეს პროდუქცია ვერ მოიპოვონ.

სქემა 40 - რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული დამხმარე მასალა? (პედაგოგები %)




ცენტრის მიერ გამოცემული ეს მასალები მასწავლებლებს სასარგებლოდ მიაჩნიათ. არიან ისეთები – დაახლოებით 30%, ვინც არ იცნობს ამ პუბლიკაციებს. ყველაზე მეტი მასწავლებელი არ იცნობს პუბლიკაციას *ინტერკულტურული განათლება* – 53.8%, ხოლო ყველაზე ნაკლები მასწავლებელი არ იცნობს პუბლიკაციებს *მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი* და *სწავლება და შეფასება* – 21%.

ბლოკი VII - ჟურნალი „მასწავლებელი“

ჟურნალს „მასწავლებელი“, სისტემატურად დირექტორების 52% კითხულობს, ხოლო მასწავლებლების 16%. ჟურნალის არსებობის შესახებ მასწავლებელთა 26%-ს მხოლოდ სმენია, ხოლო დირექტორთა - 8%-ს. ზოგადად, დირექტორები მეტად კითხულობენ ამ ჟურნალს.

სქემა 41 - იცნობთ თუ არა ჟურნალს "მასწავლებელი"



მათგან, ვინც ამბობს, რომ აქვს ჟურნალი "მასწავლებელი", 17.0%-ს არ წაუკითხავს, ხოლო 31.0% -ს არ აქვს ჟურნალი, მაგრამ მაინც კითხულობს მას.

მთლიანობაში, მასწავლებელთა 67% კითხულობს ჟურნალს. მათგან:

- 81%-ის მიხედვით, სკოლაში იხილავენ ჟურნალში გამოქვეყნებულ საკითხებს

- 15.2% ამბობს, რომ მათ სკოლაში ასეთი განხილვები არ იმართება,
- 3.8%-მა არ იცის, იმართება თუ არა მათ სკოლაში ასეთი განხილვები

მთლიანობაში, დირექტორთა 90.1% კითხულობს ჟურნალს, მათგან:

- 74.6%-ის მიხედვით, სკოლაში იხილავენ ჟურნალში გამოქვეყნებულ საკითხებს
- 23.7% ამბობს, რომ მათ სკოლაში ასეთი განხილვები არ იმართება,
- 1.7%-მა არ იცის, იმართება თუ არა მათ სკოლაში ასეთი განხილვები

მასწავლებლებთან შედარებით, დირექტორების მეტი წილი ამბობს, რომ მათ სკოლაში ჟურნალის განხილვები არ იმართება. შესაძლოა განხილვები არაფორმალურად, დირექტორის გარეშე იმართება.

მასწავლებელთა 67%-ს და დირექტორთა 90%-ს ვკითხეთ, სასარგებლოა თუ არა ეს ჟურნალი. მათი 87.8%-ის აზრით, ის სასარგებლოა, 11.4%-ის აზრით, მეტნაკლებადაა სასარგებლო, მხოლოდ 0.3%-ს (3 მასწავლებელი) მიაჩნია, რომ ის უსარგებლოა. მასწავლებელთა 14.2%-ს სურს, რომ ჟურნალში იხილოს ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობის დამხმარე მასალა, 6.5%-ს კი ინტეგრირებულ გაკვეთილებთან დაკავშირებული სტატიები. მასწავლებლების და დირექტორების მიერ (5%-ზე დაბალი სიხშირით) დასახელებული საკითხები მოცემულია დანართში #1.

პედაგოგების 67%-ს და დირექტორების 90% ვკითხეთ, რომელ ავტორთა სტატიების წაკითხვას ისურვებდნენ ჟურნალში, სასურველ ავტორებად ძირითადად სახელდებიან სიმონ ჯანაშია, გაია მურღულია, მაია მიმინოშვილი, სოფო გორგოძე, პაატა პაპავა. დასახელებული სასურველი ავტორების სრული ჩამონათვალი მოცემულია დანართში #2.

კითხვაზე, ჟურნალის რომელი საკითხები დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად, მასწავლებლებმა და დირექტორებმა ყველაზე ხშირად შემდეგი თემები დაასახელეს:

- საინტერესო გაკვეთილების განხილვა (მასწავლებლების 14.2%, დირექტორების 6.6%)
- მასწავლებელთა შეფასების ინდიკატორები; (მასწავლებლების 6.8%, დირექტორების 15.2%)
- ინტეგრირებული გაკვეთილები; (მასწავლებლების 4.7%)
- მეთოდისკანთან დაკავშირებული საკითხები; (მასწავლებლების 4.4%, დირექტორების 3.3%)
- მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება; (მასწავლებლების 3.8%)
- მოზარდთა ღირებულებები (მასწავლებლების 3.5%);
- სხვადასხვა მეთოდით ჩატარებული გაკვეთილები (მასწავლებლების 3.5%);;

- როგორ უნდა ტარდებოდეს სასერტიფიკაციო გამოცდა (მასწავლებლების 2.9%, დირექტორების 7.3%).

სრულად დირექტორებისა და მასწავლებლების მიერ დასახელებული თემები იხილეთ დანართში #3

მასწავლებელთა 21.6%-ს და დირექტორთა 52.6%-ს აქვს სურვილი დაწეროს ჟურნალისათვის. რადგან ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, შეიძლება ცალკე რეუბრიკაც კი შეიქმნას მათთვის.


იმისათვის, რომ მასწავლებელთა ინტერესი ჟურნალისადმი გაიზარდოს, მასწავლებლები და დირექტორები ყველაზე ხშირად შემდეგ ხელისშემწყობ ფაქტორებს ასახელებენ:

- სტატიები უფრო საინტერესო იყოს, გაითვალისწინონ პედაგოგთა მოსაზრებებიც - 22.4%
- მასწავლებლისთვის ჟურნალი გახდეს ხელმისაწვდომი - 16.9%
- გაიმართოს პრეზენტაციები სკოლაში ავტორებთან - 6.4%
- გაკვეთილების და მეთოდების შესახებ მეტი ინფორმაცია დაიბეჭდოს - 2.4%
- უფრო მეტი ტირაჟით დაიბეჭდოს - 5.0%
- უშუალო კონტაქტი ჰქონდეთ სკოლებთან - 4.8%
- გამოქვეყნდეს სკოლის პრობლემები - 3.9%

სრულად დირექტორებისა და მასწავლებლების პასუხები იხილეთ დანართში #4

ჟურნალის გამოწერას დირექტორების უფრო მეტი პროცენტი აპირებს, ვიდრე მასწავლებლების:

სქემა 42 - აპირებთ თუ არა ჟურნალის გამოწერას?



ზოგადად, დირექტორებს უფრო მისაღებად მიაჩნიათ ჟურნალის ფასი, ვიდრე მასწავლებლებს. ჟურნალის ფასი – 2 ლარი სრულებით მისაღებია დირექტორთა 90% და პედაგოგთა 82%-სათვის, ხოლო დირექტორთა 10% და პედაგოგთა 18% თვლის, რომ ის ძვირია.


715-მა რესპონდენტმა, მათ შორის 167 დირექტორმა - 23% და 558-მა პედაგოგმა - 78% დაასახელა განათლების სფეროს სამი ექსპერტი, ყველაზე ხშირად სახელდებიან: სიმონ ჯანაშია, გია მურღულია, გია ნოდია, მაი მიმინოშვილი, გიგი თევზაძე, ტატო შავშიშვილი, გიორგი გახელაძე, მაია ინასარიძე, პაატა პაპავა, ბელა წიფურია, ნიკა გვარამია, სოფო გორგოძე, ბერიკა შუკაკიძე. სრული სია მოცემულია დანართში #5.

ბლოკი VIII - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები

დირექტორთა - 86.33%-ს და მასწავლებელთა 77.14%-ს სმენია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ,


დირექტორთა 80%-ს და მასწავლებელთა 67%-ს მიაჩნია, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში მასწავლებელთა მონაწილეობა ფინანსდება სახელმწიფო ვაუჩერით.

სქემა 43 - ვინ აფინანსებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში მასწავლებელთა მონაწილეობას?



მათ, ვინც ფიქრობს, რომ პროგრამები ვაუჩერით ფინანსდება, ვკითხეთ, საიდან აქვთ ეს ინფორმაცია:

სქემა 44 - საიდან გაიგეთ, რომ პროფესიული განვითარების პროგრამები სახელმწიფო ვაუჩერით ფინანსდება ?



მეტი დირექტორი ფიქრობს, რომ პროფესიული განვითარების პროგრამები საჭიროა - 85%, ვიდრე მასწავლებელი - 75%. ამავე დროს, უფრო მეტმა მასწავლებელმა - 24%, უპასუხოდ დატოვა ეს კითხვა, ვიდრე დირექტორმა - 14%.

ბლოკი IX - ცენტრისა და მასწავლებლების ვაკანსიების ვებ-გვერდის შეფასება

პედაგოგების 32.8% იცნობს და 67.2% არ იცნობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდს.


დირექტორების 59.75% იცნობს და 40.25% არ იცნობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდს.

მნიშვნელოვანი მონაცემები მოგვცა ცენტრის ვებგვერდისა და ვაკანსიების ვებგვერდის შესახებ ინფორმაციის ქონის შესახებ პასუხების შედარებამ:

ვინც ცენტრის ვებგვერდს იცნობს, მან იცის ვაკანსიების ვებგვერდის შესახებაც: ასეთია 83.7%, ხოლო ვინც არ იცნობს ცენტრის ვებგვერდს, მათი პასუხები ვაკანსიების ვებგვერდის შესახებ დაახლოებით თანაბრად განაწილდა: 45.9% იცნობს ვაკანსიების ვებგვერდს და 54.1% - არა.

ვინც ცენტრის ვებგვერდს იცნობს, ის სარგებლობს ვაკანსიების ვებგვერდითაც: იშვიათად 36.2%, ხოლო ხშირად – 10.1%. ვინც ცენტრის ვებგვერდს არ იცნობს, თითქმის ორჯერ ნაკლებად სარგებლობს ვაკანსიების ვებგვერდით: იშვიათად 21.0%, ხოლო ხშირად – 3.4%.

სქემა 45 - გისარგებლიათ თუ არა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდით?



მათ, ვინც სარგებლობს ცენტრის ვებგვერდით, ვთხოვეთ შეეფასებინათ მისი ფუნქციები 5-ქულიან სკალაზე, სადაც 5 ნიშნავს – სრულიად ვეთანხმები, ხოლო 1 – სრულებით არ ვეთანხმები:

დირექტორები თვლიან, რომ


- ვებ-გვერდზე მოცემულია სრული ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ – 4.34
- ვებ-გვერდზე ნავიგაცია მოსახერხებელია (ერთი ლინკიდან მეორეზე გადასვლა) - 4.37
- ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მოძიება ადვილია – 4.60

პედაგოგები თვლიან, რომ

- ვებ-გვერდზე მოცემულია სრული ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ – 3.81
- ვებ-გვერდზე ნავიგაცია მოსახერხებელია (ერთი ლინკიდან მეორეზე გადასვლა) - 4.01
- ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მოძიება ადვილია – 4.12

ასევე, მათ შეაფასეს ვებგვერდზე მოცემული სასარგებლო რესურსების საკმარისობა. როგორც ყოველთვის, დირექტორების მეტი პროცენტი თვლის, რომ ეს რუბრიკა სრულიად საკმარისია:

სქემა 46 - რამდენად საკმარისია ვებ-გვერდზე მოცემული სასარგებლო რესურსები?



მასწავლებლებმა და დირექტორებმა შეაფასეს ასევე რუბრიკა „წმირად დასმული კითხვები“. აქაც, დირექტორების მეტი პროცენტი თვლის, რომ ამ რუბრიკაში პასუხები სრულიად საკმარისია:

მასწავლებლები:

- პასუხები ამომწურავია – 20.6%
- პასუხები ნაწილობრვაა გაცემული – 60.3%
- პასუხები არასაკმარისია – 3.9%

დირექტორები:

- პასუხები ამომწურავია – 37.9%
- პასუხები ნაწილობრვაა გაცემული – 54.2%
- პასუხები არასაკმარისია – 0.7%

დირექტორებს და მასწავლებლებს ვკითხეთ, დამატებით რა ინფორმაციის მიღებას ისურვებდნენ ვებგვერდიდან:

პედაგოგების 81.5%-ს და დირექტორების 61.5%-ს გაუჭირდათ პასუხის გაცემა. ხოლო, გაცემულ პასუხებს შორის ყველზე ხშირად სახელდება დამატებითი ინფორმაცია სასერთიფიკაციო გამოცდებთან და სიახლეებთან დაკავშირებით. სრული სია წამოდგენილია დანართში #6. პასუხის გაცემა დირექტორებს (82.0%) და პედაგოგებს (86.5%) გაუჭირდათ სასარგებლო რესურსების განთავსებასთან დაკავშირებითაც (დანართი #7).

ვაკანსიების ვებ-გვერდი

იმის შესახებ, რომ არსებობს მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდი, იცის გამოკითხულ პედაგოგთა 53.13%-მა, ხოლო დირექტორთა 87.92%-მა; არ იცის პედაგოგთა 45.77%-მა, ხოლო დირექტორთა 12.07%-მა.

მათგან, ვინც იცის ვებ-გვერდის არსებობის შესახებ, დირექტორები მეტად იყენებენ მას, ვიდრე მასწავლებლები:

- პედაგოგთა მხოლოდ 5.6% სარგებლობს ხშირად, 25.4% სარგებლობს იშვიათად და 69.0% არ სარგებლობს საერთოდ.
- დირექტორთა მხოლოდ 10.2% სარგებლობს ხშირად, 37.3% სარგებლობს იშვიათად და 52.5% არ სარგებლობს საერთოდ.

ალბათ, ეს შედეგი გასაკვირი არ უნდა იყოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გამო.

დირექტორებს ვკითხეთ, გამოუქვეყნებიათ თუ არა ვაკანსია. აღმოჩნდა, რომ:

- მათ 17.9%-ს გამოუქვეყნებია ვაკანსია მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გვერდზე, ხოლო
- 7.3%-ს გამოუქვეყნებია ვაკანსია გაზეთში

განცხადების გამოქვეყნება ეფექტური იყო:

- ვებ-გვერდისათვის 12%.
- გაზეთისათვის 15%.

დირექტორებს ვკითხეთ ასევე, სავალდებულო უნდა იყოს თუ არა ვაკანსიის გამოქვეყნება.

- მათ 84.85%-ს მიაჩნია, რომ უნდა იყოს, ხოლო
- 14.43%-ს მიაჩნია, რომ არ უნდა იყოს სავალდებულო


დირექტორების უმრავლესობას, ვინც ფიქრობს, რომ ვაკანსიის გამოქვეყნება საჭირო არ არის, უჭირს ამის მიზეზის დასახელება (92%), ხოლო დანარჩენებს მოჰყავთ შემდეგი მიზეზები: ხანგრძლივი პროცედურა; ინტერნეტის უქონლობა; საჭიროების არარსებობა საათების სიმცირის გამო.

ბლოკი X - პროგრამა "ასწავლეთ საქართველოსთვის"

- პედაგოგების 30.7%-ს სმენია, ხოლო 69.3%-ს არ სმენია პროგრამის `ასწავლეთ საქართველოსთვის` შესახებ.
- დირექტორების 52.63%-ს სმენია, ხოლო 47.37%-ს არ სმენია პროგრამის `ასწავლეთ საქართველოსთვის` შესახებ.

მათ, ვისაც სმენია, ეს ინფორმაცია მიღებული აქვთ:

სქემა 47 - საიდან გასმენიათ პროგრამის "ასწავლეთ საქართველოსთვის" შესახებ?




მასწავლებელთა 94.15-ს მიაჩნია, რომ პროგრამა `ასწავლეთ საქართველოსთვის` საჭიროა, მხოლოდ 0.2%-ს (ერთ მასწავლებელს) არ მიაჩნია ის საჭიროდ.

ბლოკი XI - თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან


მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისათვის არ მიუმართავს მასწავლებლების თითქმის 90%-ს. ასევე მაღალია იმ დირექტორების პროცენტული მაჩვენებელიც, ვისაც არ მიუმართავს ცენტრისათვის.

სქემა 48 - მიგიმართავთ თუ არა ცენტრისათვის რაიმე ფორმით?



მათ, ვისაც აქვს ცენტრთან ურთიერთობის გამოცდილება – ასეთია 200 მდე ადამიანი, ვკითხეთ, რამდენად სრული იყო მიღებული ინფორმაცია. დირექტორების 60% ამბობს, რომ სავსებით სრული ინფორმაცია მიიღეს, ხოლო მასწავლებელთა 46% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია მიიღეს:

სქემა 49 - რამდენად სრული იყო ცენტრისგან მიღებული ინფორმაცია?



მათ, ვისაც აქვს ცენტრთან ურთიერთობის გამოცდილება ვკითხეთ, რამდენად დროულად მიიღეს ინფორმაცია: დროულად – 79.0%; მცირე დაგვიანებით – 14.8%; დიდი დაგვიანებით – 1.7%;

ძირითადი შედეგები

პედაგოგებისა და დირექტორების გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, ცენტრის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმირებულობის დონე და ცენტრის პროდუქციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია. თუმცა, რესპონდენტებს, განსაკუთრებით კი მასწავლებლებს უჭირთ საკითხების სიღრმისეული წვდომა და კონკრეტული საკითხების მთლიანობაში გააზრება, მათ შორის კავშირების დანახვა. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას. ეს შეიძლება იყოს განპირობებული ინფორმაციის ნაკლებობით, სირთულით ან გადაცემის მექანიზმების არასრულყოფილებით.

ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის საქმიანობის, კონკრეტული პროდუქტებისა და სერვისის შესახებ ინფორმირებულობის დონე უფრო მაღალია დირექტორებში, ვიდრე მასწავლებლებში.

რესპონდენტთა მონაცემებით, ინფორმაციის წყაროები არ არის დივერსიფიცირებული – თითქმის ყველა შემთხვევაში მასწავლებლების ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს დირექტორი, ხოლო დირექტორისთვის – რესურს ცენტრი. ნაკლებად ეფექტურად მუშაობს ინფორმაციის სხვა წყაროები, ასევე, გამოკითხულთა აზრით, ყველაზე მოთხოვნადია, თუმცა ამ ეტაპზე ნაკლებად ინტენსიურია ცენტრთან უშუალო კომუნიკაცია.

მთლიანობაში, ცენტრის ყველა ინიციატივის მიმართ ზოგადი განწყობა პოზიტიურია როგორც პედაგოგებში, ასევე დირექტორებში. ამასთან, დირექტორები მეტად უჭერენ მხარს ცენტრის ინიციატივებს, ვიდრე მასწავლებლები. ცენტრის საქმიანობის ეფექტურობას რესპონდენტთა ორივე ჯგუფი მაღალ შეფასებას აძლევს.

ფოკუს ჯგუფების და გამოკითხვის შედეგები ძირითადად ერთმანეთის მსგავსია, თუმცა, რამდენიმე საკითხში ფოკუს ჯგუფის შედეგები უფრო კრიტიკულია ცენტრის საქმიანობის მიმართ, ვიდრე გამოკითხვისა. მაგალითად, სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტებს ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ბევრად უფრო აკრიტიკებდნენ, ვიდრე გამოკითხული დირექტორები და მასწავლებლები.

ინფორმირებულობა

ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის ზოგადი დონე საკმაოდ მაღალია. დირექტორები მასწავლებლებთან შედარებით უკეთ არიან ინფორმირებულები. ძალიან მცირეა მათი პროცენტი, ვისაც საერთოდ არ სმენია ცენტრის შესახებ და ისინი ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანელებითა და სომხებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) არიან.

დედაქალაქში ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის დონე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე რეგიონებში. ამასთანავე, რეგიონებში შედარებით უფრო ხშირია უარყოფითი დამოკიდებულება ცენტრის სერვისის და პროდუქტების მიმართ.

პედაგოგებსა და დირექტორებს მკაფიოდ არ აქვთ წარმოდგენილი ცენტრის ძირითადი ფუნქციები, თუმცა, დირექტორები უფრო სწორად ასახელებენ ცენტრის ძირითად ფუნქციებს. ამავე დროს, საკმაოდ ბევრი მასწავლებელი და დირექტორი ასახელებს ისეთ ზოგად ფუნქციებს, რომლებიც ცენტრის საქმიანობის უშუალო სფეროს არ განეკუთვნება. მაგალითად, ყოველი მეხუთე მასწავლებელი თვლის, რომ ცენტრმა უნდა დააჯილდოვოს მასწავლებლები კარგი შრომისათვის. ასევე, მასწავლებელთა სამი მეოთხედი თვლის, რომ ცენტრი ვალდებულია შეატყობინოს მასწავლებლებს სკოლის სფეროში არსებული ყველა სიახლის შესახებ. სავარაუდოდ, მასწავლებლებსა და დირექტორებს უჭირთ გამოიჯვანა, თუ რა ინფორმაციას და ვისგან უნდა იღებდნენ.

დირექტორებიც და მასწავლებლებიც ცენტრის მუშაობის ეფექტურობას საშუალოზე მაღალ შეფასებას აძლევენ. დირექტორები უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ ცენტრის საქმიანობას, ვიდრე მასწავლებლები. რეგიონების მიხედვით, შედარებით დაბალ შეფასებას ცენტრის საქმიანობას აძლევს აჭარა, გურია, რაჭა, შიდა ქართლი და თბილისი. სავარაუდოდ, ეს შეფასება უფრო ზოგად დამოკიდებულებას გამოხატავს ცენტრის მიმართ, ვიდრე მისი კონკრეტული აქტივობების შეფასებას, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, რესპონდენტებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ცენტრის კონკრეტული ფუნქციების შესახებ.

ცენტრის საქმიანობის შესახებ მასწავლებლებისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს დირექტორები წარმოადგენენ, ხოლო დირექტორებისთვის - რესურს-ცენტრები. ამავე დროს, დირექტორების მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროები უფრო დივერსიფიცირებულია. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებს ინფორმაციის მიღება უშუალოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და რესურს-ცენტრის წარმომადგენლებისგან სურთ. მიუხედავად ამისა ამ ეტაპზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს, როგორც ინფორმაციის წყაროს, პედაგოგთა მხოლოდ 10% ასახელებს (სქემები #7,8).

ინფორმაციის გადაცემის მხრივ, დირექტორები ეფექტურად ასრულებენ შუამავლის როლს სკოლასა და რესურს ცენტრებს შორის. თუმცა, მასწავლებლები საბოლოო ჯამში ცუდად იცნობენ ცენტრის კონკრეტულ საქმიანობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებლების მიერ დირექტორების, როგორც ინფორმაციის ეფექტური წყაროს შეფასება გადაჭარბებულია. შესაძლოა დირექტორი კარგავს ინფორმაციას ან იმთავითვე არ ფლობს სრულ ინფორმაციას. ბოლო მოსაზრებას ამყარებს ის, რომ დირექტორების მხოლოდ მესამედი თვლის, რომ რესურს ცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სრულია. კვლევა არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, მასწავლებელთა პროფესიული ცენტრი აწვდის არასრულ ინფორმაციას რესურს-ცენტრებს, თუ რესურს-ცენტრები კარგავენ ინფორმაციის ნაწილს გადაცემის პროცესში.

სტანდარტი

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული სტანდარტი მასწავლებლებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, მის შესახებ ინფორმირებულობის დონე პედაგოგებში უფრო დაბალია, ვიდრე დირექტორებში.

საინტერესოა, რომ მასწავლებლებსაც და დირექტორებსაც არასწორი წარმოდგენა აქვთ სტანდარტის დეფინიციაზე. მათი უმეტესობის აზრით, არსებული სტანდარტი უნდა განსაზღვრავდეს და განსაზღვრავს კიდევ მაქსიმალურ მოთხოვნებს.

ზოგადად, სტანდარტი მისაღებია გამოკითხულთა უმრავლესობისათვის. მათი აზრით, ვინც თვლის, რომ სტანდარტი არ არის მისაღები, სტანდარტის მოთხოვნები აღემატება სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მასალის მოცულობა დიდია და საგნობრივი სტანდარტები არ არის თანაბარი სირთულის.

ამასთანავე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მასწავლებლები გადაჭარბებულად აფასებენ თავიანთ ინფორმირებულობას სტანდარტთან დაკავშირებით, რადგან ამბობენ, რომ იცნობენ სტანდარტს, მაგრამ კონკრეტულ კითხვებზე დოკუმენტთან დაკავშირებით პასუხის გაცემა უჭირთ, ამასთანავე, ვერ იხსენებენ შენიშვნებს, რომლებიც გამოთქვეს სტანდარტის განხილვის პროცესში, ხოლო მათ მიერ დასახელებული შენიშვნები ხშირად არაადეკვატურია და კავშირში არ არის დოკუმენტის შინაარსთან. ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტანდარტის შემუშავების პროცესში დოკუმენტის სამუშაო ვერსია მიეწოდა ყველა სკოლას 2-2 ეგზემპლარის ოდენობით და ყველა კათედრას და მასწავლებელს ჰქონდა საკუთარი შენიშვნის მოწოდების საშუალება. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებმა მნიშვნელოვანი წვლილი ვერ შეიტანეს დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვაში და, შესაბამისად პროცესში თანამონაწილეობის გაცდა ნაკლებია.

ეთიკის კოდექსი

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრს დროებით შეჩერებული ჰქონდა ეთიკის კოდექსზე მუშაობა, ცენტრის სახელი მკაფიოდ ასოცირდება ეთიკის კოდექსზე მუშაობის პროცესთან.

მასწავლებელთა და დირექტორების უმრავლესობის აზრით, ეთიკის კოდექსი საჭირო დოკუმენტია, უნდა არსებობდეს უნიფიცირებული სახით და მასში ჩამოყალიბებული ნორმების პრაქტიკაში განსამტკიცებლად აგრეთვე უნდა არსებობდეს შესაბამისი სანქციები.

ფოკუს ჯგუფებზე რესპონდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, იარსებებს თუ არა ცალკე ეთიკის კოდექსი, ეთიკური ნორმები შეიძლება აისახოს სკოლის შინაგანაწესშიც.

მენტორი-მამიებელი

დირექტორების და მასწავლებლების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მენტორობის ინსტიტუტი საქართველოში უნდა დაინერგოს, მიუხედავად მათი შეხედულებებისა პროგრამის დაფინანსების სისტემისა და თავიანთ სკოლაში ამ პროგრამის განხორციელების შესახებ.

მენტორისა და მამიებლის პროგრამას ზოგადად კარგად იცნობს დირექტორთა და მასწავლებელთა უმრავლესობა, თუმცა მენტორის განმარტება უკეთ ესმით დირექტორებს, ხოლო მამიებლის - პედაგოგებს. მთლიანობაში კი დირექტორები უფრო კარგად არიან ინფორმირებულები ამ საკითხის შესახებ, ვიდრე პედაგოგები.

დირექტორებისა და მასწავლებლების ნახევარზე მეტი თვლის, რომ პროგრამაში არაფერია შესაცვლელი. გამოკითხულთა უმრავლესობა თავიანთ სკოლაში აღნიშნული პროგრამის განხორციელების მომხრეა. თუმცა, დირექტორებში მოტივაცია უფრო მაღალია, ვიდრე მასწავლებლებში.

ამ პროგრამის მიმართ ნეგატიურად განწყობილი მასწავლებლების ძირითადი მოტივი ისაა, რომ მასწავლებლებს კონკურენციის და საგაკვეთილო საათების დაკარგვის ემინათ, რაც, თავის მხრივ, ანაზღაურების შემცირებას გულისხმობს.

დირექტორებისა და მასწავლებლების უმრავლესობა თვლის, რომ ამ ინიციატივისთვის უნდა გამოიყოს დამატებითი თანხა. აქედან, უფრო მეტი რესპონდენტი ემხრობა მხოლოდ მენტორისთვის თანხის გამოყოფას, ვიდრე ორივესთვის.

პედაგოგების დიდი ნაწილი ემხრობა თანხის გამოყოფას სკოლის ბიუჯეტიდან, ან არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. დირექტორებიც ემხრობიან თანხის გამოყოფას, მაგრამ არა სკოლის ბიუჯეტიდან. სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია იმით, რომ დირექტორები უკეთ იცნობენ სკოლის ბიუჯეტს და თვლიან, რომ სკოლას არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები ამ პროგრამის დასაფინანსებლად.

მენტორად მუშაობის მოტივად პედაგოგებში ყველაზე ხშირად სახელდება კოლეგიალობა, ხოლო დირექტორებში - ფინანსური მხარე.

პედაგოგთა სერტიფიცირება

დირექტორებისა და პედაგოგების უმეტესობას სმენია მასწავლებელთა სერტიფიცირების შესახებ და ამ ინიციატივის მომხრეა, თუმცა ზოგადად მომხრეთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ ამ პროცესის განხორციელება ნაადრევია. დირექტორები, პედაგოგებთან შედარებით, სერტიფიცირებას უფრო დროულად მიიჩნევენ. სავარაუდოდ, დირექტორებს უნდათ, რომ გათავისუფლდნენ დაბალ კვალიფიციური კადრებისაგან.

სერტიფიცირების მოწინააღმდეგე მასწავლებელთა უმრავლესობა რეგიონების წარმომადგენელია.

მასწავლებლების უმეტესობა თვლის, რომ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დადგენილი ვადა (2014 წლამდე) საკმარისია გამოცდებისთვის მოსამზადებლად და მათი უმეტესობა პირველი ორი წლის განმავლობაში აპირებს გამოცდის ჩაბარებას. გამოცდებზე გასვლას არ აპირებს ძალიან მცირე პროცენტი (ძირითადად, რეგიონებიდან).

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები, მათივე შეფასებით, ინფორმირებულნი არიან პროცესის შესახებ, ისინი ითხოვენ დამატებით ინფორმაციას სერტიფიცირების ხელფასთან კავშირის, სერტიფიცირების პროცედურების, სერტიფიკატების ტიპებისა და ტესტების შემუშავების განრიგის შესახებ.

მასწავლებლების მოტივაციის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია ხელფასის ზრდის მოლოდინი, პროფესიული ზრდა და სამსახურის დაკარგვის შიში.

მასწავლებლების ის მცირე ნაწილი, რომელიც არ აპირებს მონაწილეობას სერტიფიცირებაში, თავის გადაწყვეტილებას ასაბუთებს იმ მოსაზრებებით, რომ სერტიფიცირება არ ჩატარდება სამართლიანად, აღნიშნული პროცესი შეურაცხმყოფელია მისთვის და რომ ისედაც აპირებს სკოლის დატოვებას სხვადასხვა მიზეზების გამო. თუმცა, მათგან ნახევარმა შესაძლოა შეიცვალოს პოზიცია და მაინც გავიდეს გამოცდაზე, თუკი დარწმუნდება, რომ პროცესი გამჭვირვალე და სამართლიანია, ხოლო მისი კომპეტენცია შეესაბამება ტესტების სირთულეს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია სერტიფიცირების წარმატებით გავლის შემთხვევაში შესაბამისი ფინანსური მოტივატორების არსებობა.

ზოგადად, მასწავლებელთა უმრავლესობა თვლის, რომ სერტიფიცირების პროცესი უნდა იყოს უფრო ხარისხის ამაღლების წამახალისებელი მექანიზმი, ვიდრე შედარებით დაბალკვალიფიცირებული მასწავლებლების გაცხრილვის საშუალება. გამოკითხულ მასწავლებელთა ნახევარი თვლის, რომ პროცესი უნდა იყოს ნებაყოფლობითი.

დირექტორებისა და მასწავლებლების წინასწარი მოლოდინის მიხედვით, მასწავლებელთა დაახლოებით 50% წარმატებით ჩააბარებს გამოცდებს. წარუმატებლობის შემთხვევაში, მასწავლებელთა უმრავლესობა აპირებს გამოცდაზე მეორედ გასვლას.

ზოგადად, მასწავლებლებიც და დირექტორებიც თვლიან, რომ ტესტი საკმაოდ რთულია. მათი აზრით, ტესტის ნიმუშში ძალიან ბევრი კითხვაა, ტესტში ისეთი საკითხებია, რომელზეც ინფორმაცია ხელმიუწვდომელია და საკითხების შინაარსი გაუგებარია.

სერტიფიკატების სხვადასხვა ტიპებიდან ყველაზე მეტი მოთხოვნაა დაწყებითი კლასების, ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგანთა ჯგუფის მასწავლებლის სერტიფიკატზე.

დამხმარე სახელმძღვანელოები

მასწავლებელთა უმრავლესობის შეფასებით, მათთვის ხელმისაწვდომია ცენტრის მიერ გამოცემული დამხმარე მასალები, თუმცა არის განსხვავებები გამოცემების ტიპების მიხედვით. მასწავლებლები ყველაზე ნაკლებად იცნობენ გამოცემას ”ინტერკულტურული განათლება”, ხოლო ყველაზე უკეთ ”პროფესიულ სტანდარტს”. მასწავლებლები ამბობენ, რომ მათ აღნიშნულ ლიტერატურაზე ხელი მიუწვდებათ სკოლის ბიბლიოთეკებში.

ჟურნალი ”მასწავლებელი”

საინტერესოა, რომ ჟურნალის მომხმარებლები უფრო დირექტორები არიან, ვიდრე მასწავლებლები. უფრო სწორად, დირექტორები უფრო სისტემატიურად კითხულობენ ჟურნალს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ მასწავლებლები პირადად ნაკლებად ყიდულობენ ჟურნალს, ხოლო დირექტორებს უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი ცენტრის მიერ დარიგებულ უფასო ეგზემპლარებზე, რადგან, ცენტრის ინფორმაციით ერთი ეგზემპლარი, როგორც წესი, ინახება სამასწავლებლოში ან ბიბლიოთეკაში, ხოლო მეორე რჩება

დირექტორთან. დაახლოებით ყოველი მეხუთე მასწავლებელი თვლის, რომ ჟურნალი ძვირია, რაც ამცირებს მის ხელმისაწვდომობას.

ღია კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს მასწავლებელთა ინტერესი ჟურნალისადმი, მასწავლებლები და დირექტორები ძირითადად ზოგად ფაქტორებს ასახელებენ. მათ შორის ყველაზე ხშირი პასუხებია: სტატიები უფრო საინტერესო იყოს, გაითვალისწინონ პედაგოგთა მოსაზრებებიც; გაიმართოს პრეზენტაციები სკოლაში ავტორებთან; გაკვეთილების და მეთოდების შესახებ მეტი ინფორმაცია დაიბეჭდოს; უფრო მეტი ტირაჟით დაიბეჭდოს; გამოქვეყნდეს სკოლის პრობლემები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, ჟურნალის მეხუთე ნომერი მნიშვნელოვნად განსხვავდება ხარისხით წინა ნომრებისაგან - შეიცავს მეტ აქტუალურ, მწვავე საკითხს, უფრო კითხვადია.

განათლების სფეროს ექსპერტებად და იმ ავტორებად, რომელთა სტატიების ხილვას ისურვებდნენ რესპონდენტები, ძირითადად სახელდება სამინისტროს თანამშრომლები, ხოლო დამოუკიდებელი ექსპერტების რიცხვი საკმაოდ დაბალია.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები

მასწავლებლებს უფრო ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების, ისევე როგორც მათი დაფინანსების სქემების შესახებ, ვიდრე დირექტორებს. ასევე, მასწავლებლები უფრო ნაკლებად ხედავენ ამ პროგრამების საჭიროებას, ვიდრე დირექტორები.

ამ ეტაპისათვის რესპონდენტებს თითქმის არ აქვთ ინფორმაცია პროფესიული განვითარების პროგრამების პროვაიდერების შესახებ.

ფოკუს ჯგუფებზე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ გასაუმჯობესებელია პროფესიული განვითარების პროგრამების სახელმწიფო თანადაფინანსების მექანიზმი და პროცედურა, რათა გაიზარდოს მოტივაცია როგორც პროვაიდერებში, ისე სერვისის მომხმარებლებში.

ცენტრისა და ვაკანსიების ვებ-გვერდი

ზოგადად, დირექტორები და მასწავლებლები ცუდად იცნობენ ცენტრის ვებ გვერდს. მასწავლებლების უმეტესობა არ იცნობს ამ რესურსს. აქ, სავარაუდოდ, არის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემა, რომელიც უფრო გამოკვეთილია პედაგოგებში. მიუხედავად იმისა, რომ იცნობენ ვებ-გვერდს, დირექტორები იშვიათად სარგებლობენ ამ რესურსით, ხოლო პედაგოგები ნაკლებად იცნობენ, მაგრამ თუ იცნობენ, უფრო ხშირად იყენებენ ამ წყაროს.

ზოგადად, მასწავლებლები უფრო დაბალ შეფასებას აძლევენ ვებ გვერდს ფუნქციური და ინფორმაციული თვალსაზრისით, ვიდრე დირექტორები.

დირექტორების უმეტესობა იცნობს ვაკანსიების ვებ-გვერდს, მაგრამ იშვიათად სარგებლობს ამ რესურსით, პედაგოგებში ამ ვებ-გვერდით სარგებლობს კიდევ უფრო ნაკლები პროცენტი. დირექტორების მხოლოდ მეხუთედი ამბობს, რომ გამოუქვეყნებია ვაკანსია. ძირითადად,

დირექტორები თავს იკავებენ ვაკანსიების გამოქვეყნებისაგან ორი მიზეზის გამო: უჭირთ ინტერნეტით სარგებლობა, სკოლაში არ არის ვაკანსიები (საათების სიმცირის გამო).

ამასთანავე, დირექტორები მიიჩნევენ რომ პროცედურა მათთვის რთულია და ნაკლებად ეფექტური (მაგალითად, პრესაში გამოქვეყნებასთან შედარებით).

პროგრამა ”მასწავლებელთა საქართველოსთვის”

ამ პროგრამას მთლიანობაში რესპონდენტები ნაკლებად იცნობენ, ვიდრე ცენტრის სხვა პროგრამებს.

პედაგოგთა უმეტესობას და დირექტორთა ნახევარს არ სმენია ამ პროგრამის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მასწავლებელთათვის ინფორმაციის ძირითადი წყარო არის სატელევიზიო რეკლამა, რაც გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან სხვა ყველა შემთხვევაში მასწავლებლები ინფორმაციას დირექტორებისაგან იღებენ.

თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან

ისინი, ვისაც მიუძღრთავს ცენტრისათვის, თვლიან რომ ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყო დროული და მეტ-ნაკლებად სრული, თუმცა ცენტრთან კომუნიკაცია ამ ეტაპზე ნაკლებად ინტენსიურია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისათვის არ მიუძღრთავს მასწავლებლების თითქმის 90%-ს. ასევე მაღალია იმ დირექტორების პროცენტული მაჩვენებელი, ვისაც არ მიუძღრთავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისათვის.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ ცენტრის საინფორმაციო სტრატეგიაში გაიზარდოს კონფერენციების, ფორუმებისა და საჯარო განხილვების რიცხვი. მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს ცენტრის საინფორმაციო პოლიტიკა, რათა არ მოხდეს ცენტრის საქმიანობის შესახებ პოზიციის ფორმირება მხოლოდ მცირე ჯგუფების აზრზე დაყრდნობით. პედაგოგები არ უნდა იყვნენ მხოლოდ ინფორმაციის მიმღები, არამედ აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი პოლიტიკის ფორმირებაში და ცენტრი უნდა შეეცადოს, რომ გაზარდოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მათი მონაწილეობა.
- ცენტრმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებლების პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც იმუშავენ პროფესიული ლიტერატურის შექმნაზე, ან თავად იქნებიან სერვისის პროვაიდერები (მაგალითად, განხორციელებენ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს, შექმნიან დამხმარე მასალებს). ამ მიზნით ცენტრმა შესაძლოა სხვადასხვა რესურსებით ხელი შეუწყოს აღნიშნული ასოციაციების განვითარებას (მაგ. მათემატიკის, ქართულის და ა.შ. პედაგოგთა ასოციაციები).
- ცენტრი უფრო აქტიური უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღებებთან ურთიერთობაში, აცნობდეს არსებულ სიტუაციასა და პრობლემატიკას. ასევე, აუცილებელია სკოლის დირექტორებთან უშუალო კონტაქტების გააქტიურება, ვინაიდან მათთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროცესის წარმატებისათვის.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა უნდა შეიმუშავოს კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელების სქემები, სადაც მაქსიმალურად იქნება გაზრდილი მასწავლებლებთან უშუალო შეხვედრების წილი. ამავდროულად, ცენტრმა უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული სქემები განმარტებული და ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის.
- შესაძლოა, მენტორისა და მამიებლის პროგრამის საპილოტე პროგრამების განხორციელება უფრო ეფექტური იყოს სამ საგანში - ქართულში, მათემატიკასა და უცხო ენაში, რადგან დირექტორების უმრავლესობის შეფასებით სწორედ ამ საგნებში მეტ პედაგოგს ექნება პროგრამაში მონაწილეობის სურვილი.
- მასწავლებელთა სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო სტრატეგიაში, ყურადღება მეტწილად უნდა გამახვილდეს წახალისების სქემებზე. მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა იცოდნენ, რა სარგებელს იძლევა ამ პროცესში მონაწილეობა, რათა სერტიფიცირება არ აღიქმებოდეს დასჯის მექანიზმად და არ ასოცირდებოდეს სამსახურის დაკარგვის საფრთხესთან.
- მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოსაყალიბებელი სტანდარტის დეფინიცია, როგორც მასწავლებელთა მინიმალური მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტისა. სტანდარტის დეფინიციისა და დანიშნულების შესახებ სწორი და ცალსახა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შემდეგ, დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით, უნდა მოხდეს დოკუმენტის რევიზია და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შეტანა.
- მეტი მუშაობაა საჭირო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის პროცესში პოტენციური პროვაიდერების უფრო საფუძვლიანად

შემოწმებისათვის, ისევე როგორც პროვაიდერების შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

- სასურველია, ცენტრმა დაინტერესებულ მხარეებს განუმარტოს ეთიკის კოდექსის შემუშავების პროცესის ამჟამინდელი სტატუსი: აპირებს თუ არა იგი ამ დოკუმენტზე მუშაობის გაგრძელებას და თუ აპირებს, რა ფორმით.
- ვინაიდან იდეის დონეზე ცენტრის ყველა ინიციატივის მიმართ მკვეთრად გამოხატული პოზიტიური დამოკიდებულებებია, ხოლო პრობლემები იქმნება აღნიშნულ იდეებთან კონკრეტული ნაბიჯების დაკავშირების კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა იცოდნენ არა მხოლოდ ცენტრის ზოგადი სტრატეგია, არამედ განხორციელების გეგმა კონკრეტული ვადებით. ეს ხელს შეუწყობს ყოველი კონკრეტული აქტივობის საერთო კონტექსტში აღქმას და ბმას საბოლოო შედეგებთან.

დანართი #1 - დამატებით რა ინფორმაციის მიღებას ისურვებდით ჟურნალის მეშვეობით

მასწავლებლები	კონკრეტული ინფორმაცია სტრატეგიულ დაგეგმვაზე
ქართული ენის საათების შემცირება III - IV კლასებში	ქართული პედაგოგიკის საკითხები
იურიდიულ; საკითხებზე, მასწავლებელთა უფლებებზე	ინფორმაცია დაჯილდოებების შესახებ
საინტერესო გაკვეთილების განხილვები	კლასგარეშე მუშაობა
სახელმძღვანელოების გაუმჯობესება	დამატებითი ინფორმაცია გამოცდილებასთან დაკავშირებით
საბუნებისმეტყველო საგნების შესახებ	ისტორიული წიგნების მიმოხილვა
პედაგოგთა სერტიფიცირება	პროფესიული სტანდარტების შესახებ
გაკვეთილების მოდულების შემუშავება	მეტი კრიტიკული სტატიები
სწავლების ახალი მეთოდები	შეფასების სისტემა
კვალიფიკაციის ამაღლების რჩევები	არაქარულენოვან სკოლებზე მეტი ინფორმაცია
პროგრამირების განმარტებები და პუნქტები	ინფორმაცია დაწყებითი კლასებისთვის
ინკლუზიურ სწავლებაზე	ფინანსების მართვის, ვაუჩერული დაფინანსების, ფინანსების საკითხებზე
სასწავლო გეგმები	კონკრეტული საგნების განხილვა
გენეტიკური საკითხები	ფსიქოლოგის რჩევები
სკოლის ორგანიზაციულ საკითხებზე	მასწავლებლების დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე
მე-12 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოდან რამოდენიმე ნიმუში	კერძო სკოლების პროგრამების გაშუქება
ისტორიის სწავლება სხვა ქვეყნებში	შრომის კანონმდებლობის შესახებ
მოსწავლეთა მოვალეობები	მასწავლებელთა და მოსწავლეთა დამოკიდებულებების თანამედროვე ფორმები
მთის, სოფლისა და დაბის სკოლების პრობლემებს ყურადღება დაეთმოს	ოჯახი და სკოლა/მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთობა
მათემატიკის საკონკურსო ტესტებზე	

მეტი ინფორმირებულობა გამოცდებზე და სიახლეებზე
კლასკომპლექტები (I და III კლასს ერთად უტარდებათ მათმატიკა)
განათლების სისტემის რეფორმის ყველა სიახლე
უცხო ქვეყნების გამოცდილება
პრაქტიკული დანართები
ტესტების ნიმუშები
პროფკავშირის რეალური საქმიანობები
მოსწავლეების ინტერვიუები იყოს
მასწავლებელთა მატერიალურ კეთილდღეობაზე
პატრიოტულ თემატიკაზე
კონკრეტული სკოლოს პრაქტიკული მაგალითების განხილვა
ინფორმაცია კონკურსების შესახებ
მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება
ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე
ტრენინგკურსები
ეკოლოგიური საკიხები
პროექტის შედგენა და მართვა
ინფორმაცია პრაქტიკოსი მასწავლებლების შესახებ
სამეცნიერო საკითხები
ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით სკოლების რეიტინგი

დირექტორები
სწავლების ახალი მეთოდები
პრაქტიკული დანართები
ქართული პედაგოგიკის საკითხები
ადმინისტრაციასა და პედაგოგებს შორის ურთიერთობა
ინფორმაცია კონკურსების შესახებ
ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე
ინფორმაცია პრაქტიკოსი მასწავლებლების შესახებ
ინტეგრირებული გაკვეთილები
შრომის კანონმდებლობის შესახებ
მოსწავლეთა მოვალეობები
შეფასების სისტემა
კონკრეტული ინფორმაცია სტრატეგიულ დაგეგმვაზე
პროფესიული სტანდარტების შესახებ
ტესტები სომხურ ენაზე
მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება
სკოლების აკრედიტაციის საკითხები
მეტი კრიტიკული სტატიები
ქართველი ექსპერტების სტატიები იყოს მეტი ვიდრე უცხოელების სასწავლო გეგმები
არაქარულენოვან სკოლებზე მეტი ინფორმაცია
კონკრეტული სკოლოს პრაქტიკული მაგალითების განხილვა
ინფორმაცია დაწყებითი კლასებისთვის
საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება

დანართი #2 - სასურველი ავტორების ჩამონათვალი

დირექტორები	ჩახაია	გორგოძე სოფო	ნადირაშვილი შოთა	ჭაბაშვილი
ჯანაშია სიმონ	ხვედელიძე	მალაფერიძე ნათელა	სამნიაშვილი ლელა	ნინო წიკლაური
მურღულია	ელბაქიძე	ინგოროყვა ნატო	სანიკიძე გ.	მარინა კუპრეიშვილი
პაპავა	კახურაშვილი	ქარჩხაძე ჯ	თუმური ლია	რამიშვილი
გორგოძე სოფო	უზნაძე	ბურდილაძე ლ.	ჯავახიშვილი ნ.	ბექაური
მიმინოშვილი მათა	ბაქრაძე	ინასარიძე	დარჩაშვილი ნ.	ვახანია
შუკაკიშვილი ბესიკ	მოსიაშვილი	სილაკაური ბაკურ	კვაჭაძე ლ.	გორგილაძე
გახელაძე	ინგა წერეთელი	როდონაია	დავითური კ.	კაპანაძე
ნოზაძე	ნაცვლიშვილი	ლორთქიფანიძე	ყურაშვილი	გამყრელიძე
ჟვანია მარინა	რამინაშვილი	დარეჯან	გიგინბერია ია	პაჭკორია
დათაშვილი ლალი	გამყრელიძე	რუხაძე ირინე	ჩხეიძე რეზო	ლაცაბიძე
ნოდია გია	პაჭკორია	კვაჭანტირაძე	ჩაჩხიანი ქეტევან	მათეიშვილი
მიმინოშვილი ზვიად	ჭანტურია რუსუდან	გვარამია	შავიშვილი ტატო	ლევან წულაძე
გვარამია		სირბილაძე	ჟვანია მარინა	ნელი ნასყიდაშვილი
მინდაძე	პედაგოგები	გახელაძე	ღვინჯილია	ფირცხალავა
ხიდაშელი მანანა	მურღულია	ნადირაძე კ.	ჯალიაშვილი	მაწარაშვილი
ელზა ბადაშვილი	ჯანაშია სიმონ	ახვლედიანი	ჭავჭავაძე	ბრეგაძე ლევან
დალაქიშვილი მარინა	პაპავა	ნოზაძე	გოგებაშვილი	ქურჩიშვილი
ქარჩხაძე ჯ	დათაშვილი ლალი	აფხაზავა	გაფრინდაშვილი	მებონია
გილაური ნ.	მიმინოშვილი მათა	მინდაძე	სამადაშვილი	ქიტოშვილი
დავითური კ.	თოფურია	ბაქრაძე	ჩახაია	ჯოხაძე
ბურდილაძე ლ.	გოგინშვილი გურამ	ვარდიაშვილი	კახურაშვილი	გელაშვილი
ნინიძე მ.	ვეფხვაძე	მეტრეველი	უზნაძე	როზა დევდარიანი
ჩაჩხიანი ქეტევან	მიმინოშვილი ზვიად	რამინაშვილი	მოსიაშვილი	აკა მორჩილაძე
გოგლიძე E	ვასაძე თამაზ	სარაშენიძე	მამფორია	თუთბერიძე
შავიშვილი ტატო	კობახიძე ნუცა	სეხნიაშვილი მარინა	ხიდაშელი მანანა	
თოფურია	ნოდია გია	ჩერქეზიშვილი ეკა	ტაბატაძე შალვა	
სამადაშვილი	თებუაძე ლია	ლაზარიშვილი ნუკრი	გაბუნია კახა	

დანართი #3 ჟურნალის რომელი თემები/საკითხებში დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად

მასწავლებლები	საგზაო ნიშნებთან დაკავშირებული სტატია
საინტერესო გაკვეთილების განხილვა	მე-12 კლასთან დაკავშირებით
მასწავლებელთა შეფასების ინდიკატორები	მასწავლებელთა წარმატებების შესახებ
ინტეგრირებული გაკვეთილები	აზროვნება
მეთოდისკანთან დაკავშირებული საკითხები	განათლების რეფორმა და მასწავლებელთა უფლებები
მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება	რუბრიკა-დიალოგი
მოზარდთა ღირებულებები	ტრიმესტრული სწავლება
სხვადასხვა მეთოდით ჩატარებული გაკვეთილები	სტატიები საქართველოს ისტორიის შესახებ
როგორ უნდა ტარდებოდეს სასერტიფიკაციო გამოცდა	ომზე
ღია გაკვეთილების თემა	ჰიპერაქტიური ბავშვი
ინკლუზიური სწავლება	ეკონომიკური გარემო
უცხოელ პედაგოგთა გამოცდილება	კონფლიქტი და განათლება
ბავშვის ფსიქოლოგიაზე	ტრენინგებთან დაკავშირებით
გაკვეთილების დაგეგმარების შესახებ	მოდულარული არითმეტიკა
მოსწავლეთა და პედაგოგთა ურთიერთობები	სიახლეები განათლების სფეროში
გაკვეთილის სცენარები	პრობლემების სკოლაში, პრობლემური ბავშვი
კლასის სახელმძღვანელო, სამუშაო გეგმა	მრგვალი მაგიდა
შეფასების სისტემების შესახებ	წიგნიერება საქართველოში
ინტერვიუ მინისტრთან	სკოლა და გარემო
დაწყებით კლასებში გაკვეთილების თამაშით ჩატარება	სკოლის აკრედიტაციის შესახებ
რას კითხულობენ მასწავლებლები	სახალისო ამოცანები
მობილომანია სკოლაში	მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი
პედაგოგთა დიალოგები	პრაქტიკული დანართები
ხარისხიანი განათლება	მასწავლებელი ფერეიდანში
სტატიები სხვადასხვა საგნების შესახებ	ცოდნის ეკონომიკა
"პრაქტიკული რჩევები"	მინისტრის განცხადება მოსწავლეებთან დაკავშირებით
აღმზრდელობით საკითხებთან დაკავშირებით	მსოფლიო ეკონომიკაზე საუბარი
გარემოს დაცვასთან დაკავშირებით	ეროვნული გამოცდების თემატიკა
სტატიები სხვადასხვა სკოლებზე	სტატია მათი სკოლის შესახებ

ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით - ინტერნეტი
უცხო ენის სწავლებაზე
დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე
თვითშეფასების სქემა
ბიოგრაფიული ცნობები
სკოლის დირექტორობიდან სახალხო დამცველამდე
პოეზიის განყოფილება
გზა პროფესიული ზრდისკენ
სკოლისა და მასწავლებლის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში
გამოცდილების გაზიარება სკოლებს შორია
დღეს მასწავლებლობა გმირობის ტოლფასია
უსაფრთხო სკოლა
მშვიდობის გაკვეთილები
ბავშვზე ორიენტირებული სწავლება
თემები სასწავლო პროექტებზე
მძიმე ჩანთა
თუ დროს მანქანის მართვა გვსურს
ფუნქციის გამოკვლევა წარმოებულის საშუალებით
დირექტორები
მასწავლებელთა შეფასების ინდიკატორები
როგორ უნდა ტარდებოდეს სასერტიფიკაციო გამოცდა
საინტერესო გაკვეთილების განხილვა
"პრაქტიკული რჩევებ"
განათლების რეფორმა და მასწავლებელთა უფლებები
ინტერვიუ მინისტრთან
უცხოელ პედაგოგთა გამოცდილება
დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე
გაკვეთილების დაგეგმარების შესახებ
მეთოდუკასთან დაკავშირებული საკითხები
დირექტორისა და მოსწავლის ურთიერთობა

შეფასების სისტემების შესახებ
აღმზრდელით საკითხებთან დაკავშირებით
აზროვნება
ბილინგუური გაკვეთილებაი
ინკლუზიური სწავლება
მოზარდთა ღირებულებები
მრგვალი მაგიდა
რას კითხულობენ მასწავლებლები
სიახლეები განათლების სფეროში
თვითშეფასების სქემა
ხარისხიანი განათლება
გამოცდილების გაზიარება სკოლებს შორია
კლასის სახელმძღვანელო, სამუშაო გეგმა
მინისტრის განცხადება მოსწავლეებთან დაკავშირებით
პრაქტიკული დანართები
ღია გაკვეთილების თემა
როგორი უნდა იყოს თანამედროვე სკოლა
რუბრიკა-დიალოგი
სტატიები სხვადასხვა საგნების შესახებ
უცხო ენის სწავლებაზე
ადამიანური რესურსების მართვა
ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით - ინტერნეტი
ბავშვის ფსიქოლოგიაზე
ცოდნის ეკონომიკა
დემოკრატიის გაკვეთილები
დიდაქტიკოსებზე
გაკვეთილი მწვანე ხალიჩაზე
გაკვეთილის სცენარები
გარემოს დაცვასთან დაკავშირებით
გენიოსი-გენები, თუ დაუღალავი შრომა
კონფლიქტი და განათლება
მამები და შვილები

მასწავლებელთა პრესტიჟის შესახებ
მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება
მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი
მენტორობა-მძიებლობა
მოსწავლეთა და პედაგოგთა ურთიერთობები
ომზე
პედაგოგთა დიალოგები
პრობლემების სკოლაში, პრობლემური ბავშვი
რჩევები დამწყებ მასწავლებლებს
სკოლის აკრედიტაციის შესახებ

სკოლისა და მასწავლებლის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში
სპორტისა და ფიზიკური აღზრდის შესახებ
სტატია მათი სკოლის შესახებ
სტატიები სხვადასხვა სკოლებზე
სხვადასხვა მეთოდით ჩატარებული გაკვეთილები
ტრენინგებთან დაკავშირებით
ტრიმესტრული სწავლება
ურიდიული საკითხები
წიგნიერება საქართველოში

დანართი #4 - თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა იმისათვის, რომ მასწავლებელთა ჩართულობა და ინტერესი ჟურნალისადმი გაზარდოს?

მასწავლებლები
სტატიები უფრო საინტერესო იყოს, გაითვალისწინონ პედაგოგთა მოსაზრებებიც
მასწავლებლისთვის ჟურნალი გახდეს ხელმისაწვდომი
გაიმართოს პრეზენტაციები სკოლაში ავტორებთან
გაკვეთილების და მეთოდების შესახებ მეტი ინფორმაცია დაიბეჭდოს
უფრო მეტი ტირაჟით დაიბეჭდოს
უშუალო კონტაქტი ჰქონდეთ სკოლებთან
გამოქვეყნდეს სკოლის პრობლემები
მეტი დაიწეროს პრაქტიკულ საკითხებზე
რეგონებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი
გამოაქვეყნონ მოწინავე პედაგოგთა დამსახურებები
მეტი სტატია დაიწეროს სიახლეებზე
ჯურნალს გაუწიოს პროპაგანდა დირექტორმა
რჩევები პედაგოგთა პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით
მეტი ინფორმაცია გაკვეთილების შესახებ
მეტი სტატია სერტიფიცირებასთან დაკავშირებით
გამოქვეყნდეს გაკვეთილების განხილვები
ხშირად დაიბეჭდოს პედაგოგთა წერილები
ჟურნალს დაერთოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ტესტები
მეთოდიკაზე დაიწეროს მეტი
სიახლეები ტექნიკური საკითხების შესახებ
არაქართულენოვანი სკოლის პრობლემები
გამოქვეყნდეს ახალგაზრდა მასწავლებლების სტატიები
ინტენსიურად გამოდიოდეს ჟურნალი

გაიზარდოს სასკოლო ბიბლიოთეკაში ჟურნალ "მასწავლებლის" შემოტანა
დაიწეროს ყველა სკოლის შესახებ
სკოლამ თვითონ უნდა გამოიწეროს
ამაღლონ ინტელექტუალური დონე
ჩაატარონ კონკურსები
გაუმჯობესდეს პედაგოგთა სოციალური პირობები
მეტი სტატიები იყოს გამორჩეულ სკოლებზე
დაემატოს ახალი ბროშურები
დაიწეროს სტატიები ლოგიკაზე
სტატიები პატრიოტულ თემებზე
გამუქდეს მოსწავლესა და მასწავლებელთა შორის ურთიერთობები
არაქართულენოვანი სკოლებისთვის მასალები დაიბეჭდოს ხვადასხა ენაზე
დირექტორები
სტატიები უფრო საინტერესო იყოს, გაითვალისწინონ პედაგოგთა მოსაზრებებიც
უშუალო კონტაქტი ჰქონდეთ სკოლებთან
მასწავლებლისთვის ჟურნალი გახდეს ხელმისაწვდომი
უფრო მეტი ტირაჟით დაიბეჭდოს
რეგონებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი
გაიმართოს პრეზენტაციები სკოლაში ავტორებთან
მეტი სტატია სერტიფიცირებასთან დაკავშირებით
ჯურნალს გაუწიოს პროპაგანდა დირექტორმა
გამოაქვეყნონ მოწინავე პედაგოგთა დამსახურებები

გაკვეთილების და მეთოდების შესახებ მეტი ინფორმაცია დაიბეჭდოს
მეტი დაიწეროს პრაქტიკულ საკითხებზე
რჩევები პედაგოგთა პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით
მეტი სტატია დაიწეროს სიახლეებზე
მეთოდულ კაზუსებზე დაიწეროს მეტი
ხშირად დაიბეჭდოს პედაგოგთა წერილები
ჩაატარონ კონკურსები
მეტი ინფორმაცია გაკვეთილების შესახებ
გამოქვეყნდეს ახალგაზრდა მასწავლებლების სტატიები
გამოქვეყნდეს სკოლის პრობლემები

ფსიქოლოგიური რჩევები
გამოქვეყნდეს გაკვეთილების განხილვები
ჟურნალს დაერთოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ტესტები
დაემატოს ახალი ბროშურები
მეტი სტატიები იყოს გამორჩეულ სკოლებზე
ინტენსიურად გამოდიოდეს ჟურნალი
გაიზარდოს სასკოლო ბიბლიოთეკაში ჟურნალ "მასწავლებლის" შემოტანა
დაიწეროს ყველა სკოლის შესახებ

დანართი #5 - მასწავლებლების და დირექტორების მიერ დასახელებული ექსპერტები

სიმონ ჯანაშია	შანიძე მ.	ჩორგოლაშვილი პაატა	ტაკიძე მ.
მურდულია გია	ღვინჯილია ლევან	საძაგლიშვილი	კვირიკაშვილი
ნოდია გია	კარტოზია ალექსანდრე	ქავთარაძე თინათინ	აფხაზავა
მიმინოშვილი მათა	ჯაყელი ჩ.	სარაშენიძე ნ.	მნათობიშვილი ლ.
თევზაძე გიგი	მამაცაშვილი ე.	ბურდილაზე	ელიზბარაშვილი ნოდარ
ტატო შავიშვილი	რურუა	ჟღენტი	თოფაძე ქეთევან
გახელაძე გორგი	ჯამბურია კახა	ჯავახიშვილი ნინო	რუხაძე ორინა
ინასარიძე მ.	მოსიაშვილი	გაფრინდაშვილი რ.	ნაკუდაშვილი ნინო
პაპავა პაატა	ნასყიდაშვილი ნელი	ჩუბნიძე ნინო	ტიკაძე რ.
წიფურია ბ.	მიმინოშვილი ზვიად	არაბული ავთანდილ	გვილავა
გვარამია ნ.	ვეკუა ნ.	ჩიქვანაია ლევან	ზურაბაშვილი დავით
გორგოძე სოფო	ინგორიყვა ნათო	არაღინაძე ნათია	ზურაბაშვილი მანანა
შუკაკიძე	აბესაძე ქეთინო	სირაძე რეზო	რ. გახოკიძე
რამინაშვილი მარიამ	სოფო მაჭარაშვილი	ფარულავა გრივერ	მ. ვარდიშვილი
ნოზაძე გია	როდონაია	კილურაძე ვანო	გოგოშვილი გურამ
კვაჭანტირაძე თ.	თვალთაშვილი	ზერეკიზე თამაზი	ბლიაძე მათა
ბერძენიშვილი ლევან	მალლაკელიძე ნათელა	გოგებაშვილი ი.	უსტიაშვილი ანი
დალაქიშვილი	ყურაშვილი ც	უზნაძე დ.	კვარაცხელია თ
დურგლიშვილი სერგო	ვეფხვაძე თემურ	ამონაშვილი	კვარაცხელია გ
სალაყაია დათო	თუთბერიძე თეა	ჭუმბურიძე	კაშია ქ.
დათაშვილი ლალი	ლომაია კახა	ქუჩიშვილი ლამარა	სურმავა ლოტა
ჟვანია ნინო	ჭანტურია ჯენეტო	მინდაძე მიხეილ	კირთაძე ეკა
გამყრელიძე შ.	გედევანიშვილი მარინა	ნაცვლიშვილი ე.	გილაური
ჟვანია მარინა	რევიშვილი	ამბაშვილი თამარ	სანიკიძე გუბაზ
ლორთქიფანიძე მარიკა	დოლონაძე	კეკელიძე	ილია II
გიგაშვილი მარინე	ბარამიძე ირაკლი	ი. ჭავჭავაძე	ბარძიმაშვილი თამარ
გაბუნია ლ.	რატინი	მირცხულავა	რეხვიაშვილი მიხეილ
ბოჭორიშვილი მანანა	ჯოგლიძე	მ. კობახიძე	თოდუა დიანა
ჭანტურია გია	ხუბუა	ალასანია	მაისურაძე მანანა

კარდენახიშვილი
კაპანაძე
ბუჩუკური
კოკილაშვილი
კოპალანი ბელა
ჯაველიძე ელიზბარ
გომიაშვილი ნატა
ცომაია აკაკი
ანდრიაძე ნინო
ქინქლაზე გედევან
კიკნაზე ირინე
შუშანია
დავითიძე რეზო
ახვლედიანი
ჯგერენია
ქიტიშვილი
თუშური ლია
გოცორძე

გავაშელი
მალრაძე ნინო
თავშაკაძე ცირა
გორდუზიანი ციალა
ჯაფარიძე
დარასელია
მებონია
მონიავა ნანა
გურული ვახტანგ
ქაჯაია
კრავეიშვილი
ვასაძე
სამადაშვილი ზაალ
წერეთელი მზია
შავლობაშვილი
სლივინსკი ეკა
თოფურია
ბოლქვაძე

ბრეგვაძე ლევან
დარჩაშვილი
ხატიშვილი
ფალიაშვილი
თურქაძე
ნიკოლეიშვილი
ქორქია
ბახტაძე
თაქთაქიშვილი ჩიორა
სულაკაური ბაკურ
ბექაური
ელბაქიძე
გრიგოლია
ჯოჯუა
წარიაშვილი მ.
ოსელიანი
პაჭკორია
ხუფაცრია

მალაფერიძე ვ.
გოგილაძე
გამზარდია
გველესიანი
ტალახაძე
თაყაიშვილი
ბაქრაძე მ.
გოგლიძე სოსო
ჯანიაშვილი მათა
სამსონია
ფხაკაძე
პატარიძე
ტყემალაძე
ლეზანიძე მათა
დარჩიაშვილი
ნადირაშვილი შ.
ბაგრატიონ-გრუზინსკი მათა

დანართი #6 - ცენტრის ვებ-გვერდზე სასურველი დამატებითი ინფორმაციის ჩამონათვალი

სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით
თანამედროვე სიახლეები
სტულად იყოს წარმოდგენილი საგნობრივი ინფორმაციების
ინფორმაცია კონკურსებისა და პროექტების შესახებ
საგნობრივი ინფორმაცია იყოს მეტი
მეტი ინფორმაცია ტესტირების შესახებ
გაგზავნილ შეკითხვებზე დროული რეაგირება
საგნობრივი მეთოდოლოგიების შესახებ
იყოს მითითებული არაქართული ვებ-გვერდის ლინკები
განათლების შესახებ
ინფორმაცია გაკვეთილების ჩატარების ახალ სტანდარტებზე
ინფორმაცია ტრენინგ-პროგრამებზე
პროექტებ. რომლებიც შეიძლება განახორციელონ სკოლებში
მასწავლებლებმა
ადმინისტრაციის მუშაობის შესახებ
არაქართულენოვანი სასერტიფიკაციო სპეციფიკა

სტატიები კერძო სკოლებზე
ფინანსური მართვის შესახებ ინფორმაცია
რეგიონებში კათედრების მუშაობის შესახებ
პედაგოგების მიმართ მოთხოვნებს დაერთოს ოფიციალური წერილი.
მოთხოვნა ან ბრძანება
დაიდოს ვებ-გვერდზე დაბეჭდილი მასალა
განხორციელებული საკითხების ანალიზი
სასკოლო მენეჯმენტის შესახებ
დაწყებით სწავლებაზე გამახვილდეს ყურადღება
პედაგოგების განვითარების შესახებ
იურიდიული საკითხები და ფინანსების დაგეგმვა
ტექნიკური და სამეცნიერო საკითხები
პრაქტიკული მუშაობის შესახებ

დანართი #7 - დამატებით რა რესურსების განთავსებას ისურვებდით „სასარგებლო რესურსებში“?

ყველა საჭირო ინფორმაცია
რომელიმე პედაგოგის ან ექსპერტის გამოცდილების გაზიარება
თანამედროვე მეთოდები, ინფორმაცია საგნობრივ მეთოდებზე
ინფორმაცია სახელმძღვანელოებზე და დამატებით ლიტერატურაზე
ზოგადი და კონკრეტული უფასო ინფორმაციები
ტესტების სახეობები მასწავლებლებისთვის
გაკვეთილების გეგმა
სასარგებლო რესურსები
სარეკომენდაციო სახელმძღვანელოები
დისციპლინის შესახებ პრაქტიკული რჩევები
თვალსაჩინოებები
სასკოლო და საკლასო მენეჯმენტის შესახებ
საკონფერენციო მასალები
გამარჯვებული პროექტების შესახებ ინფორმაციები
მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდა
სკოლის დირექტორის გზამკვლევი
მაწავლებელი კერძო სკოლაში
ინფორმაცია კონკურსის შესახებ
მასწავლებელთა ვაკანსიები რეგიონების მიხედვით
შეფასების სქემები
ვიდეო გაკვეთილები
კითხვა პასუხის რეჟიმის არსებობა
ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ
მასწავლებელთა ინფორმირებულობის და განწყობა-დამოკიდებულების კვლევა

ფოკუსური ჯგუფის ანგარიში

მაისი, 2009

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის საქმიანობის შესახებ მასწავლებელთა ინფორმირებულობისა და განწყობა-დამოკიდებულებების კვლევის თვისებრივი ნაწილის (პირველი ორი ფოკუს ჯგუფის) ანგარიშს. ანგარიში მომზადებულია განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ 2009 წლის მაისში.

კვლევის მეთოდოლოგიის თანახმად, ორი ფოკუსური ჯგუფი წინ უძღვოდა რაოდენობრივი კვლევის კომპონენტს და მიზნად ისახავდა:

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შეფასების ინდიკატორების დაზუსტებას;
2. განათლების სფეროს ექსპერტების და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების იდენტიფიცირებას ცენტრის შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებით.

2. მეთოდოლოგია :

თარიღი	2009 წლის მაისი
კვლევის არეალი	თბილისი
კვლევის მეთოდი	თვისებრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფური დისკუსია
ფოკუსური ჯგუფის რაოდენობა	2 ფოკუსური ჯგუფი (19 რესპონდენტი)
მონაწილეები	განათლების სფეროს ექსპერტები - არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლები, განათლების სამინისტროს და საჯარო სკოლები სმასწავლებლები და დირექტორები
ფოკუსური ჯგუფის ხანგრძლივობა	დაახლ. 2 სთ.

ფოკუსური ჯგუფების მონაწილეთა სრული სია მოცემულია დანართში #1

3.1 ინფორმირებულობა ცენტრის სერვისების შესახებ

ორივე ჯგუფის მონაწილეებმა შეძლეს ცენტრის თითქმის ყველა ძირითადი სერვისის ჩამოთვლა. ჩამონათვალში არ მოხვდა მენტორისა და მაძიებლის პროგრამა და ვებ-გვერდი ვაკანსიების შესახებ. ვაკანსიების ვებ-გვერდის არსებობის შესახებ მონაწილეებმა იცოდნენ, ხოლო რაც შეეხება მაძიებელთა პროგრამას, რესპონდენტების უმეტესობა უბრალოდ არ ფლობს ინფორმაციას ამ პროგრამის შესახებ.

გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები სერვისების ჩამოთვლის რიგითობაში. ორივე ჯგუფის მონაწილეები პირველ რიგში ასახელებდნენ ეთიკის კოდექსს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ეთიკის კოდექსზე მუშაობის ინტენსივობა მკვეთრად შემცირებულია, ცენტრის სახელი მკაფიოდ ასოცირდება ეთიკის კოდექსზე მუშაობის პროცესთან.

მეორე რიგში ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ასახელებდნენ ჟურნალს, რომელიც აგრეთვე ცალსახად ასოცირდება ცენტრის სახელთან. რესპონდენტები აგრეთვე ასახელებდნენ მასწავლებელთა სტანდარტზე მუშაობასა და მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესს, თუმცა საგულისხმოა, რომ მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, მასწავლებლებს საკმაოდ მწირი წარმოდგენა ჰქონდათ ამ პროცესზე და უჭირდათ მისი მთლიანობაში აღქმა. მაგალითად, მასწავლებლებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სტანდარტის შედგომების მიზნებზე, სტანდარტს, სერტიფიცირებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კომპონენტს შორის კავშირზე, ძალიან მწირი წარმოდგენა აქვთ პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის პროცესზე და ა.შ. ეს ასპექტები უფრო დეტალურად არის გაშლილი თავში „სტანდარტი და სერტიფიცირება“.

ცენტრის სერვისების ჩამონათალში, აგრეთვე, დასახელდა პროგრამა „სწავლელთა საქართველოსთვის“ - აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებმა იცოდნენ პროგრამის შინაარსი, თუმცა არ იცოდნენ პროგრამის სახელი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ინფორმაციით „ბოლო პერიოდში სამინისტროც და პროფესიული გადამზადების ცენტრიც ბევრად უფრო ღია და ინფორმაციულად ხელმისაწვდომია“. „საჯარო შეხვედრებიც ხშირად ეწყობა. უარყოფითი ისაა, რომ მაინც დროის დეფიციტი აქვს სამინისტროს, დაჩქარებული მომენტებიცაა და ფინანსური სირთულეებიც. როდესაც ვსაუბრობთ რიგ დოკუმენტებზე, თუნდაც ეთიკის კოდექსზე, ვთვლი, რომ მეტი დაფინანსების და დროის შემთხვევაში, ხარისხი მეტად გაიზრდებოდა“.

ცენტრის შესახებ ინფორმაციის წყაროებად რესპონდენტებმა პირველ რიგში დაასახელეს ცენტრის ვებ-გვერდი და ჟურნალი. თუმცა, მონაწილეთა მონაცემებით, ინფორმაციის პირდაპირი გზით ამ წყაროებიდან მოპოვების შემთხვევები შედარებით ნაკლებია - მასწავლებლები ინფორმაციას ძირითადად იღებენ დირექტორებისაგან. აგრეთვე, ინფორმაციის წყაროდ დასახელდა რესურს-ცენტრიც, თუმცა, რესპონდენტების აზრით, რესურს-ცენტრების როლი ინფორმაციის გავრცელების პროცესში მნიშვნელოვნად დასახვეწია: „რესურს-ცენტრი უნდა იყოს ორგანო,

რომელსაც კონტაქტი აქვს ყველა სხვა ცენტრთან და შუამავალია. არ შეიძლება ერთ ცენტრს მიმართოს 2400 სკოლამ, ან პროვადერები სად ვეძებოთ“.

კერძოდ, მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირების კუთხით რესურს ცენტრების ეფექტურობის გაზრდისათვის აუცილებელია რესურს-ცენტრებმა არა მხოლოდ მიაწოდონ სკოლებს ინფორმაცია ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, არამედ შეეძლოთ სკოლების კონსულტირება მთლიანი პროცესის შესახებ, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ესა თუ ის ღონისძიება. გასამართია მექანიზმი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასწავლებლებმა შეძლონ მიღებული ინფორმაციის რესურს-ცენტრში დაზუსტება.

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, აგრეთვე, რესურს-ცენტრების როლის გაზრდა რეგიონებში ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისითაც: „საკითხავია, რამდენად არიან რეგიონები ინფორმირებული. თუნდაც კითხვარი რომ მოდის სკოლებში, ახალციხიდან, სხვადასხვა რეგიონებიდან მირეკავენ და მეკითხებიან, რა ხდება და რისთვის კეთდება. მე კი ვიღებ რესურს-ცენტრიდან ინფორმაციას, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ისინიც ახერხებენ“.

3.2 ჩართულობა პროცესებში

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ინფორმაციით მასწავლებელთა ჩართულობა მაღალია მასწავლებელთა სტანდარტების შემუშავების პროცესში, მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომია ჟურნალი და ისინი თავადაც იღებენ მონაწილეობას ჟურნალზე მუშაობაში.

თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ სკოლის საზოგადოების ჩართულობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული დირექტორის აქტიურობაზე. ანუ, უფრო ზუსტად, ჩართულობა განპირობებულია არა მასწავლებელთა მაღალი მოტივაციით, არამედ დირექტორის მცდელობებით: „დირექტორის პოზიციიდან ვიტყვი, რომ ეთიკის კოდექსზე მუშაობისას, თვითონ პროცესი მაინც იძულებით გაკეთებული იყო სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ვთვლი, რომ საკმაოდ კარგი პედაგოგები არიან ჩემთან, დიდი ინტერესი ამ საკითხს არ გამოუწვევია. თუნდაც იმიტომ, რომ ამ კოდექსის მნიშვნელობა იყო გაურკვეველი“.

„სადაც დირექტორი ძლიერია, იქ აქვს ადგილი ჩართულობას“.

ფოკუს ჯგუფის მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისათვის, ჩართულობა საკმაოდ მაღალია, გარკვეული დონისძიებებს განსახორციელებელი სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების განხილვაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის მასწავლებელთა მოტივაციის გასაზრდელად. „მასწავლებლები თავად არ არიან დაინტერესებული. ეს არის სერიოზული პრობლემა“.

თუ მასწავლებლების შემთხვევაში, მოტივაციის ნაკლებობა პირდაპირ არ აისახება ჩართულობის მაჩვენებლებში, სურათი გაცილებით უფრო მკაფიოა სხვა ჯგუფებთან მიმართებაში. მაგალითად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, დაბალია მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში ზოგადად სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა.

„პრობლემა არის ის, რომ ინფორმაცია მეტი უნდა იყოს, საზოგადოებაც მეტად უნდა ჩაერთოს და თან არა მხოლოდ მასწავლებლების დონეზე“.

ჩართულობის პრობლემა, რესპონდენტების აზრით, საბოლოო ჯამში აისახება დოკუმენტების ხარისხზეც - მათში აისახება დაინტერესებულ მხარეთა მხოლოდ მცირე ნაწილის აზრი, რიგ შემთხვევაში დოკუმენტები არ ასახავს რეალურ სურათს:

„ეთიკის კოდექსზე მუშაობაში საზოგადოება არ იყო აქტიური და მშობლები, რომელიც გაცილებით დიდი ჯგუფია ვიდრე მასწავლებლები, ამაში მონაწილეობის სურვილი არ ჰქონდათ. შესაბამისად, მხოლოდ მასწავლებლების ინტერესები ჩანდა და პროფკავშირების. თუმცა, სხვადასხვა ინტერნეტ-გამოცემებსა და ფორუმებზე მშობლების მოსაზრებებიც ფიქსირდებოდა“.

„საზოგადოების ჩართულობა ყოველთვის პრობლემაა. ეს გამოიკვეთა სკოლის შინაგანაწესთან მიმართებაშიც. სანამ სამინისტრომ არ დაატრენინგა, ნიმუშები და ინიციატივები არ შესთავაზა, მანამ ვერ შეიმუშავეს სკოლებმა. საბოლოო ჯამში, დღესაც რომ გადახედო სიტუაციას, არის შინაგანაწესის რამდენიმე თარგი, რისი კალკირებაც ხდება“.

„თანამოაზრედ უნდა გავიხადოთ ყველა ამ მნიშვნელოვან პროცესში. მთავარია ყველას სურვილები, შიშები გავითვალისწინოთ, ნდობა ჩავუნერგოთ“.

3.3 სტანდარტი და სერტიფიცირება

3.3.1 სტანდარტზე მუშაობის პროცესი

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მონაცემებით, სტანდარტზე მუშაობისას აგრეთვე მაღალი იყო მასწავლებელთა ჩართულობა, თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პირადად მიიღო მონაწილეობა შენიშვნების შემუშავებაში, თუმცა საგულისხმოა, რომ არცერთი მათგანი არ დაინტერესებულა, გათვალისწინებული იქნა თუ არა მისი შენიშვნები საბოლოო დოკუმენტში, რაც იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ პროცესში ჩართულობას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი.

რესპონდენტების ნაწილს საერთოდ არ ჰქონდათ ნანახი დოკუმენტის შემდგომი რედაქციები.

არცერთ რესპონდენტს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა შეთავაზებები მიიღო ცენტრმა დოკუმენტის გასაუმჯობესებლად და მათგან რომელი და რატომ იყო გათვალისწინებული დოკუმენტში.

„საინტერესოა, საერთოდ რა რეკომენდაციები შევიდა ამ მუშაობის შედეგად. რაიმე კონკრეტული შეთავაზებები იყო თუ არა“.

რესპონდენტების აზრით, სტანდარტზე მუშაობის პროცესი, ზოგადად, კარგად იყო დაგაგმილი, გულისხმობდა სხვადასხვა მხარეების მონაწილეობის კომპონენტს, თუმცა, დამატებითი ძალისხმევას საჭირო საზოგადოების უკეთ ინფორმირებისათვის.

„პრინციპში, კარგად გაკეთდა და საზოგადოების ჩართულობა მაღალი იყო. მაგრამ მე ამ საკითხზე მსჯელობას ცოტა უფრო ფართო ასპარეზს მივცემდი. უფრო გავაცნობიერებდი საზოგადოებას სტანდარტის რაობაში“.

3.3.2 სტანდარტის შინაარსი

ზოგადად, რესპონდენტების შეხედულებები სტანდარტის შესახებ მსგავსი იყო - მათი აზრით სტანდარტი შეიცავს საინტერესო, თუმცა ძალიან რთულ საკითხებს. განსაკუთრებით, შიშს და დისკომფორტს იწვევს საგნობრივი სტანდარტი. ამგვარი განწყობის მიზეზებად რესპონდენტები

ასახელებენ შემდეგ მიზეზებს: „რთულია“, „საგნობრივ სტანდარტს და სახელმძღვანელოებს თუ შევადარებთ ერთმანეთს, ცა და დედამიწასავით განსხვავდება“, „არ არის ლიტერატურა“ (საგნობრივ სტანდარტებთან დაკავშირებით). „ზოგადად მასწავლებელზე ნაკლებად არის გათვლილი“.

აგრეთვე, რესპონდენტთა აზრით პრობლემატური იქნება ის შემთხვევები, როცა მასწავლებლებს მოუწევთ რამდენიმე საგანში გამოცდის ჩაბარება:

„ნ კლასის ჩათვლით იქნება დაწყებითი საფეხური და რამდენიმე საგნის ჩაბარება გვიწევს. მე 3 საგანს ვასწავლი და იმდენად რთულია ეს პროგრამა, საკმაოდ დიდი მოცულობის მასალა გამოდის. თან, ჯერჯერობით არ გვაქვს პროგრამა, რითაც ბავშვმა უნდა ისწავლოს“.

„პროფესიულ სტანდარტს რაც შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შენიშვნები მივეცი და ზოგი მათგანი გაითვალისწინეს, მაინც, მაგ სტანდარტს ვერავინ დაძლევა. გამოდის, რომ უნდა მოისროლონ ყველა მასწავლებელი“.

ფოკუს ჯგუფზე აგრეთვე გამოითქვა მოსაზრებები სტანდარტის არაერთგვაროვნებასთან დაკავშირებით:

„მე ვთვლი, რომ სტანდარტები არის არაერთგვაროვანი - დატვირთულობის, სირთულის მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი კლასების სტანდარტი ძალიან მძიმე და რთულია, ასევე მატემატიკის სტანდარტიც“.

3.3.3 სტანდარტის დანიშნულება

ზოგადად, ფოკუს ჯგუფიდან შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ დაინტერესებულ მხარეებს და ცენტრის სერვისის მომხმარებლებს არ აქვთ შეთანხმებული აზრი იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება აქვს სტანდარტს, როგორია მისი მიმართება სერტიფიცირების პროცესთან. ანუ, უფრო კონკრეტულად, რა დონეს განსაზღვრავს სტანდარტი - მინიმალურს თუ იდეალურს, აისახება თუ არა სასერტიფიკაციო გამოცდებში სტანდარტი მთლიანად, თუ ეტაპობრივად. რას ისახავს მიზნად ამ სტანდარტის შემოღებით სახელმწიფო, კონკრეტულად რა სარგებელი ექნება მასწავლებელს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარებით?

„ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რაც სტანდარტებთან მიმართებაში დგას, არის ასეთი -- ჩაიწეროს სტანდარტებში ის, რაც დღეს შეუძლიათ მასწავლებლებს და ჩაიწეროს ის, რაც საჭიროა იმისთვის, რომ კარგი მასწავლებელი გერქვას. ჩემი აზრით, აქ უნდა ეწეროს ის კომპეტენციები,

რაც მასწავლებელს სჭირდება, რომ მას ერქვას მასწავლებელი. თუმცა, შეიძლება მოხდეს დიფერენცირება, რომ ამა და ამ წლამდე არ გთხოვთ რაღაცას, რადგან შეუძლებელია 1 და 2 წელიწადში გამოსწორდეს ყველაფერი“.

„თუ სტანდარტი არის მასწავლებლის იდეალი, რომლისკენაც უნდა ვისწრაფოთ, მაშინ, ბუნებრივია, საფეხურეობრივი მომზადების შემოღება, რომ ნელ-ნელა მივალწიოთ ამ სტანდარტს. მაგრამ შეიძლება სტანდარტის სხვანაირად გაგებაც - ანუ მინიმალური, დასაშვები ქვედა ზღვარი მასწავლებლისთვის. თუ ამას ვაკეთებთ, მაშინ ქვედა ბარიერი გაცილებით უფრო დაბალი უნდა იყოს“.

რესპონდენტების აზრები გაიყო, აგრეთვე, სტანდარტის შემოღების მიზნებთან დაკავშირებით:

„საინტერესოა, თუ რა უნდა სახელმწიფოს - უნდა ჰყავდეს ფართო სპეციალობის პედაგოგები, თუ ვიწრო სპეციალობის მასწავლებლები. სახელმწიფოს უნდა მიიყვანოს მასწავლებლების დიდი ნაწილი იქამდე, რომ მას შეეძლოს დასაქმდეს არა მხოლოდ ერთი საგნის პედაგოგად. თუ ხელს შევეუწყობთ ამას და გავართულებთ სტანდარტებს, მიზანი გვექნება, რომ რაც შეიძლება ფართო პროფილის მასწავლებლები გვეყოლება“.

„ჩვენ გვსურს, რომ იყოს ნაკლები ადამიანი, ვისაც აქვს კონკრეტული კვალიფიკაცია და ვერ პოულობს სამსახურს. ამას უნდა გამოხატავდეს სერტიფიცირების ტიპები და არა სტანდარტი“.

3.3.4 მოტივაციის საკითხები

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ერთსულოვანნი იყვნენ იმ მოსაზრებაში, რომ სერტიფიცირების პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია მასწავლებელთა მოტივაციის გაზრდა ამ პროცესში მონაწილეობისათვის.

„იმულებით ვერ გაიყვან ყველას გამოცდაზე და მაინც უკუშედეგი იქნება, ამიტომ შესწავლილი უნდა იქნას მათი სურვილები, რა პრეტენზიები აქვთ და მათი მონაწილეობით გაკეთდეს. თუ ნებაყოფლობით არ გავლენ გამოცდაზე, სერტიფიცირებას შედეგი არ ექნება და არ იმოქმედებს განათლების ხარისხზე“.

რესპონდენტებმა ჩამოთვალეს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც მათი აზრით ხელს შეუწყობდა პროცესში მასწავლებელთა უფრო აქტიურად ჩართვის მოტივაციის გაზრდას.

ა. კონკრეტული ფინანსური წახალისების მექანიზმები

„თუკი არ იქნება იმის შანსი, რომ ხელფასი მოემატებათ, მოტივაცია არ ექნებათ სერტიფიცირებაზე გასვლის“

„სახელმწიფოს, ამასთანავე, უნდა ჰქონდეს მიმზიდველი დაფინანსება, რომ მასწავლებელს ჰქონდეს დაინტერესება, გახდეს რამდენიმე საგნის პედაგოგი და არა მხოლოდ ერთი საფეხურის“.

ბ. კონკრეტული ვადები

„კონკრეტული თარიღი თუ დაინიშნება სერტიფიცირების, საქმე ისაა, როგორ წავა მომზადება, საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ მოემზადონ“.

გ. მკაფიო წარმოდგენა მასწავლებელთა სტანდარტის ამოქმედებაზე, სერტიფიცირებასა და მასწავლებელთა მომზადება -გადამზადებაზე, როგორც ერთიან პროცესზე.

„დასასრულებელია მთელი პროცესის გააზრება. ეს არის მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადება, მისი პროფესიული განვითარება და სერტიფიცირება. ეს პროცედურა, მთლიანად, არ არის ბოლომდე გათვლილი, დაზუსტებული და რეალობაზე გათვლილი. თორემ, ამ წუთას გაუგებარია, რისთვის უნდა გავიდეს მასწავლებელი სასერტიფიკატო პროგრამაზე, რას მიიღებს ის ამისგან, არავითარი მოტივაცია არ გააჩნია. ეს ყველაფერი არაა დაწერილი და ჩამოყალიბებული“.

მასწავლებლებმა, ასევე, მკაფიოდ უნდა იცოდნენ, თუ რა მიზანთან მიმართებაში ახდენენ ისინი სტანდარტის დახვეწას? კონკრეტულად რას ელიან მათგან დოკუმენტზე მუშაობის პროცესში.

„პედაგოგებთან პროფესიულ სტანდარტზე მუშაობაც უხერხულობის გრძნობას იწვევდა მათში, ფიქრობდნენ, რომ რაც დოკუმენტში წერია ძალიან კარგია, მაღალი დონის სტანდარტებია და ამაზე ცუდი რომ დაეწერათ, თვითონ გამოვიდოდნენ უფრო ცუდები. ანუ, განცდა ჰქონდათ, რომ თუმცა მთელ სტანდარტს დასწვდნენ, საკუთარ თავს დააყენებდნენ დაბალ დონეზე საქართველოს მასშტაბით“.

3.4 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით რესპონდენტებმა აღნიშნეს რამდენიმე საკითხი, რომელიც მათი აზრით, შემდგომ დახვეწას საჭიროებს.

წინადადებათა პირველი ბლოკი შეეხებოდა პროფესიული განვითარების პროგრამების სახელმწიფო თანადაფინანსების პროცედურას. რესპონდენტთა აზრით:

„მასწავლებელი იძულებულია დირექტორს შეუთანხმოს გარკვეული საკითხები, რაც მიუღებელია. ასევე ვალდებულია მასწავლებელი, რომ 2009 წელში აღებული ვაუჩერი წელსვე გახარჯოს და არ შეუძლია შემდეგში გადატანა, რაც მიუღებელია, იმიტომ რომ არავის აქვს გარანტია 2010 წელს მაინც ჩატარდება თუ არა სასერტიფიკატო გამოცდები და წლინახევრით ადრე აზრი არ აქვს ვაუჩერის აღებას“.

პროვაიდერების კუთხით შეიძლება პრობლემა წარმოქმნას იმ ფაქტმა, რომ სახელმწიფო ანაზღაურებს ვაუჩერს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დახარჯავს ოთხი კრედიტის შესაბამის თანხას.

„პროვაიდერებისთვისაც მიუღებელია ეს, რადგან წერია, რომ ამ 4 კრედიტს სანამ ტრენინგ ცენტრში არ დახარჯავს, კრედიტის თანხას პროვაიდერი ვერ მიიღებს, ანუ სახელმწიფოსგან ”პოსლეზეა“ ანგარიშსწორება, რაც ინტერესს უკარგავს ამ ყველაფერს. არ იქნება რენტაბელური, ასეთი დაბალი თანხით დაფინანსებული ტრენინგ-კურსების ჩატარება. აუცილებელია, სასწრაფოდ გადაისინჯოს აკრედიტაციის დებულებაც, ექსპერტთა კომპეტენციაც, საბჭოს მუშაობაც, ტრენინგების კვალიფიკაციაც და სასწავლო მასალებიც გადაისინჯოს. ვაუჩერების აღების პროცესშიც გათვალისწინებული უნდა იქნას მასწავლებელთა ინტერესებიც, შემდეგ პროვაიდერთა ინტერესები“.

3.4.1 პროვაიდერები

ამ ეტაპისათვის რესპონდენტებს თითქმის არ აქვთ ინფორმაცია ტრენინგ პროგრამების პროვაიდერების შესახებ.

მათი აზრით, მეტი მუშაობაა საჭირო ერთი მხრივ, აკრედიტაციის პროცესში (პროგრამის შემოწმებისას) პოტენციური პროვაიდერის უფრო საფუძვლიანად შემოწმებისათვის, ისევე როგორც პროვაიდერების შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

„მე პირველ რიგში მაინტერესებს იმ ცენტრების შესახებ ინფორმაცია, ვინც დაიწყებს პედაგოგთა გადამზადებას, რომ სწორი არჩევანი გავაკეთო“.

„ჯერჯერობით ინფორმაცია არ გვაქვს ამაზე. მხოლოდ კულუარებიდან და ზედაპირულად ვიცით“.

„როგორც პროვაიდერი და დაინტერესებული პირი, ალბათ სუბიექტური ვარ, მაგრამ ვთვლი, რომ პროგრამის შემოწმებისას, ინდიკატორები ბევრად უკეთ უნდა ყოფილიყო გაწერილი და ბევრად უფრო ფექტურად და ზუსტად შესწავლილიყო ორანიზაციების დოკუმენტაციაც და პროგრამებიც“.

3.4.2 ლიტერატურა

მასწავლებლები კმაყოფილნი არიან ცენტრის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოებით, სასურველია, რომ არსებობდეს მეტი ამგვარი სახელმძღვანელო.

„ჩვენთან ძალიან აქტიურად ტარდება ტრენინგ-სემინარები, მაგრამ ჩვენ იმ თაობას ვეკუთვნით, რომელიც თვლის, რომ კარგია ლექციაც, სემინარიც, მაგრამ აუცილებელია მისი წაკითხვა. უნდა არსებობდეს სახელმძღვანელოები და უნდა შემეძლოს სახლში დავჯდე და ვისწავლო. თუნდაც ელექტრონული ვერსია იყოს“.

3.5 ცენტრის ჟურნალი

ჟურნალი ცენტრის ცნობადი პროდუქტია, რომელიც ამ ეტაპისათვის ხელმისაწვდომია სკოლებისათვის როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით ჟურნალის მეხუთე ნომერი მნიშვნელოვნად განსხვავდება ხარისხით წინა ნომრებისაგან - შეიცავს მეტ აქტუალურ, მწვავე საკითხებს, უფრო კითხვადია.

„ბოლო უფრო პრაქტიკული ნომერია და უნდა გაგრძელდეს ეს კურსი. წინა ნომრები უფრო თეორიული და ზოგადი იყო“ .

განსახორციელებელია დამატებითი აქტივობები ჟურნალის პოპულარიზაციის კუთხით: „არაა მაინც პოპულარული. შეიძლება ჩემნაირად რამდენიმეჩემი კოლეგა ეცნობოდეს, მაგრამ მასობრივად არაა პოპულარული, ბევრმა არ იცის და არც სარგებლობს“.

რესპონდენტების აზრით, ჟურნალი უნდა შეიცავდეს მეტ „მწვავე საკითხებს“. თუმცა მათ გაუჭირდათ კონკრეტული მწვავე საკითხების დასახელება.

3.6 მენტორობის პროგრამა

მენტორობის პროგრამის შესახებ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს ყველაზე მწირი ინფორმაცია აქვთ ცენტრის სხვა პროგრამებთან შედარებით. მონაწილეებმა არ იცოდნენ პროგრამის დეტალები, თუმცა თვლიან რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო სიახლეა.

„ძირითადი სუსტი მხარე ისაა, რომ კანონი არ განსაზღვრავს საკმარისად და მკაფიოდ მენტორის ფუნქციას და სტატუსს. ანუ არ გვაქვს ფუნდამენტური საყრდენი, საიდანაც გაიშლება პროგრამები. თვითონ პროგრამას რაც შეეხება, ჯერ კიდევ დასათვლელი და გასაზომია ბევრი რამ, მაგრამ ამ ეტაპზე, ყველაზე მნიშვნელოვანია მენტორების სწორად შერჩევა. 80% ამ მაძიებელთა წარმატებებისა, არის მთლიანად ამ შერჩევაზე დამოკიდებული, მათ კვალიფიკაციასა და მოტივაციაზე. სკოლების მეტად ინფორმირებაცაა საჭირო ამ პროექტთან დაკავშირებით“.

3.7 მოსაზრებები ცენტრის მუშაობის გაუმჯობესებისათვის

ცენტრის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისათვის გამოთქმული შეთავაზებები ძირითადად შეეხებოდა ცენტრის საინფორმაციო პოლიტიკას და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს.

მონაწილეთა აზრით, ცენტრმა უნდა გაზარდოს საკუთარი როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან საკითხებზე მეტი დისკუსიის სტიმულირებით, ხელი შეუწყოს პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბებას და ჩართვას სტანდარტისა და დამხმარე მასალების შემუშავების პროცესში, ისევე როგორც გაზარდოს პოლიტიკის ფორმირების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

„ცენტრის მუშაობის გაუმჯობესება შესაძლებელია იმ სფეროში, რომ მოახდინოს მასწავლებლების აზრის ფორმირება. ანუ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ აზრის მიმღები. ახლა ასეთი სიტუაციაა - ცენტრი ბევრ რამეზე მუშაობს, შემდეგ მასწავლებლები გამოთქვამენ აზრს და ეს ყველაფერი იცვლება მხოლოდ იმის გამო, რომ მცირე ნაწილმა გამოთქვა რაღაც აზრი. არ არსებობს ინფორმაცია, თუ რას ფიქრობენ მასწავლებლები ზოგადად. ამისთვის საჭიროა შეიკრიბოს ხოლმე მასწავლებლები კონფერენციებზე, სადაც საკუთარ აზრს დააფიქსირებენ. არაა სამართლიანი, როდესაც 3 მასწავლებელი გამოვა ტელევიზორში, რაღაცას იტყვის და პოლიტიკოსები წყვეტენ, რომ ეს 3 მასწავლებელი გამოხატავს ყველას აზრს. საინფორმაციო პოლიტიკა უნდა გაფართოვდეს ანუ“.

„ცენტრმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებლების პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც იმუშავებენ ლიტერატურის შექმნაზე, ან იქნებიან თავად პროვაიდერები და ა.შ. იგივე კონფერენციების ჩატარება, სხვადასხვა თემების განხილვა. ყველაფერი, რასაც აკეთებენ სხვადასხვა ასოციაციები. ამის ხელშეწყობისთვის შეიძლება ცენტრი რესურსებით დაეხმაროს ასოციაციებს, რომ მათ საკუთარი გამოცემები ჰქონდეთ, ან შეხვედრების მოწყობა შეძლონ“.

„ეს ცენტრი უფრო აქტიური უნდა იყოს პოლიტიკოსებთან ურთიერთობაში. უფრო ხშირად უნდა კრებდეს გადაწყვეტილების მიმღებებს და აცნობდეს პრობლემატიკას. ინფორმაციას უგზავნიდეს რაღაც კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით და ასევე, უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს სკოლის დირექტორებთან. არსად მომხდარა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, დირექტორების მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ მათი აქტიური მონაწილეობითაა კარგი შედეგის მიღება შესაძლებელი“.

ფოკუს ჯგუფზე ამოღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად ინსტრუმენტში ინტეგრირდა კითხვები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- რესურს ცენტრების როლი ინფორმაციის გავრცელების პროცესში
- ინფორმირებულობა სტრატეგიული დოკუმენტების განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების შესახებ;

- ინფორმირებულობა მასწავლებლის სტანდარტის რაობასა და დანიშნულების შესახებ;
- ინფორმირებულობა და დამოკიდებულებები პროგრამის „მასწავლებელი საქართველოსთვის“ მიმართ
- ინფორმირებულობა ცენტრის სტატუსის შესახებ

ფოკუს ჯგუფის დინამიკის გათვალისწინებით (მასწავლებლებს უჭირთ ცენტრის სტრატეგიაზე მსჯელობა, რადგან კარგად არ წარმოუდგენიათ პროცესები მთლიანობაში, მათ აქვთ მხოლოდ ეპიზოდური წარმოდგენა ცალკეული კომპონენტების შესახებ), გადაწყდა, რომ კითხვარში იქნებოდა უფრო მეტი განმარტებითი ტექსტი - კითხვარის სტრუქტურაში ეს გამოიხატება როგორც ე.წ. კითხვა მენიუები.

ფოკუს ჯგუფის შედეგებზე დაყრდნობით, რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტში ჩამოყალიბდა ფორმულირებები რამდენიმე კითხვა-მენიუსათვის.

აგრეთვე, გადაწყდა, რომ ჩართულობის და ინფორმირებულობის კომპონენტის კვლევისას აქცენტი გაკეთდება მოტივაციის საკითხების კვლევაზე.

ფოკუსური ჯგუფების მონაწილეთა სია:

1.

-რესპ.1 გია ნოზაძე. საქართველოს პედაგოგთა პროფკავშირის საგანმანათლებლო დეპარტამენტის უფროსი.

-რესპ.2 62-ე საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მასწავლებელი, ფილოლოგი.

-რესპ.3 ნინელი ხარებავა. 23-ე საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი, კათედრის გამგე.

-რესპ.4 63-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი, პროფესიით პედაგოგი.

-რესპ.5 ლაშა მკურნალიძე, ასოციაცია "სკოლა და საზოგადოება", აღმასრულებელი დირექტორი.

-რესპ.6 მიშა მინდაძე, 161-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

-რესპ.7 სიმონ ჯანაშია, სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

-რესპ.8 1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქართული ენის პედაგოგი

-რესპ.9 ელენე ბერიანიძე, მე-9 საჯარო სკოლა, ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.

-რესპ.10 მარია ზაქარეიშვილი, 207-ე საჯარო სკოლის რუსული სექტორის ქართული ენის პედაგოგი.

-რესპ.11 ნინო ქვრივიშვილი, 133-ე საჯარო სკოლის პედაგოგი

2.

-რესპ.4 ნანა მონიავა, 63-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

-რესპ.3 ნინო შუბლაძე, 63-ე საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი, საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელი. სამინისტროში პროგრამების მწვრთნელი.

-რესპ.2 55-ე საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი.

-რესპ.1 199-ე, კომაროვის სკოლა.

-რესპ.7 მანანა ნიკოლაიშვილი - მასწავლებელთა პროფკავშირი

-რესპ.8 მანანა ლურჯუმელიძე - მასწავლებელთა პროფკავშირი

(დაგვიანებით შემოერთებული რესპოდენტების ნომრებია 7 და 8)

დანართი #9 - სქემები

სქემა 1 - გსმენიათ თუ არა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შესახებ? (დირ. პედ.).....	14
სქემა 2 - გსმენიათ თუ არა ცენტრის საქმიანობის შესახებ ? (ქართ. და არაქართ. სკოლები).....	14
სქემა 3 - გსმენიათ თუ არა ცენტრის საქმიანობის შესახებ ? (დედაქალაქი, რეგიონები).....	15
სქემა 4 - გთხოვთ, ჩამოთვალთ ცენტრის 4 ძირითადი ფუნქცია.....	16
სქემა 5 - კიდევ რა ფუნქციებს უნდა ასრულებდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი?	17
სქემა 6 - ცენტრის საქმიანობის საშუალო შეფასება 10 ბალიან სკალაზე რეგიონების მიხედვით.....	18
სქემა 7 - საიდან იღებთ ინფორმაციას ცენტრის საქმიანობის შესახებ?.....	18
სქემა 8 - საიდან გორჩევნიათ ინფორმაციის მიღება ცენტრის საქმიანობის შესახებ?.....	19
სქემა 9 - რამდენად საკმარისია დირექტორების მიერ თქვენთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია?	20
სქემა 10 - რამდენად საკმარისია რესურს-ცენტრების მიერ თქვენთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია?.....	20
სქემა 11 - გაქვთ თუ არა ცენტრის პროდუქცია (დირექტორები)?.....	21
სქემა 12 - გაქვთ თუ არა ცენტრის პროდუქცია (მასწავლებლები)?.....	22
სქემა 13 - კითხულობთ თუ არა რაიმე სახის პროფესიულ ლიტერატურას?.....	22
სქემა 14 - რა ენაზე ეცნობით პროფესიულ ლიტერატურას?	23
სქემა 15 - გსმენიათ თუ არა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შესახებ?.....	24
სქემა 16 - თქვენი აზრით, როგორი არის სტანდარტი?	25
სქემა 17 - გსმენიათ თუ არა ეთიკის კოდექსის სამუშაო ვერსიის შესახებ?.....	27
სქემა 18 - გსმენიათ თუ არა მაძიებლობის ინსტიტუტის შესახებ?	29
სქემა 19 საჭიროა თუ არა მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა საქართველოში?.....	30
სქემა 20 - გსურთ თუ არა რომ თქვენს სკოლაში განხორციელდეს მაძიებლობის პროგრამა?.....	31
სქემა 21 - თქვენი აზრით, უნდა გამოყოს თუ არა სკოლამ თავისი ბიუჯეტიდან თანხა მენტორის ან მაძიებლის შრომის ანაზღაურებისათვის?.....	32
სქემა 22 - თქვენი აზრით, რა პერიოდია საკმარისი მაძიებლობისთვის?.....	33
სქემა 23 - თქვენი აზრით, რატომ მოინდომებს მასწავლებელი მენტორად მუშაობას?	34
სქემა 24 - თქვენი აზრით რატომ არ მოინდომებს მასწავლებელი მენტორად მუშაობას?	35
სქემა 25 - იმუშავებდით თუ არა მენტორად? (პედაგოგების %)......	35
სქემა 26 - მენტორის გარდა ვინ უნდა იყოს ჩართული თქვენს სკოლაში მაძიებლობის პროცესში ?	36

სქემა 27 - თქვენს სკოლაში რომელი საგნების მასწავლებლებს აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, რომ მენტორად იმუშავონ (დამატებითი ანაზღაურების გარეშე)?.....	37
სქემა 28 - საიდან შეიტყვეთ მასწავლებელთა სერტიფიცირების შესახებ?.....	38
სქემა 29 - რამდენად სრული ინფორმაცია გაქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს მასწავლებელთა სერტიფიცირება?	39
სქემა 30 - როგორია თქვენი დამოკიდებულება სერტიფიცირების მიმართ?.....	40
სქემა 31 - სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ რა საკითხებზე გასურთ ინფორმაციის მიღება?(მასწავლებლების პასუხების %)?.....	40
სქემა 32 - მიიღებთ თუ არა მონაწილეობას სერტიფიცირების პროცესში?.....	41
სქემა 33 - რომელ წელს აპირებთ სერტიფიცირების გავლას?(პედაგოგების %)	41
სქემა 34 - თუ აპირებთ მონაწილეობას, რატომ?.....	42
სქემა 35 - რა განაპირობებს იმას, რომ თქვენ არ მიიღებთ, ან, შესაძლოა, არ მიიღოთ მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში?.....	43
სქემა 36 - რამდენად მოსალოდნელია, რომ შეიცვალთ პოზიცია და მიიღოთ გადაწყვეტილება სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების სასარგებლოდ?.....	44
სქემა 37 - რა შემთხვევაში შეიცვლიდით პოზიციას და მიიღებდით გადაწყვეტილებას, ჩააბაროთ სასერტიფიკაციო გამოცდები?.....	45
სქემა 38 - თქვენი აზრით სასერტიფიკაციო გამოცდების რა პირობებია შესაცვლელი? (პედაგოგების %)	45
სქემა 39 - როგორ თვლით, სერტიფიცირების გამოცდა სამართლიანად ჩატარდება?.....	47
სქემა 40 - რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული დამხმარე მასალა?(პედაგოგები %)?.....	51
სქემა 41 - იცნობთ თუ არა ჟურნალს "მასწავლებელი"?.....	52
სქემა 42 - აპირებთ თუ არა ჟურნალის გამოწერას?.....	55
სქემა 43 - ვინ აფინანსებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში მასწავლებელთა მონაწილეობას?	56
სქემა 44 - საიდან გაიგეთ, რომ პროფესიული განვითარების პროგრამები სახელმწიფო ვაუჩერით ფინანსდება ?.....	57
სქემა 45 - გისარგებლიათ თუ არა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდით?.....	58
სქემა 46 - რამდენად საკმარისია ვებ-გვერდზე მოცემული სასარგებლო რესურსები?.....	59
სქემა 47 - საიდან გასმენიათ პროგრამის "ასწავლეთ საქართველოსთვის" შესახებ?.....	62
სქემა 48 - მიგიმართავთ თუ არა ცენტრისათვის რაიმე ფორმით?	63
სქემა 49 - რამდენად სრული იყო ცენტრისგან მიღებული ინფორმაცია?.....	64

დანართი #10 - ცხრილები

ცხრილი 1 - შერჩევის მოცულობა, შერჩევის ცდომილება.....	7
ცხრილი 2 - კერძო სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.....	8
ცხრილი 3 - არაქართული სკოლების რაოდენობა.....	9
ცხრილი 4 - რესპონდენტთა განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით.....	10
ცხრილი 5 - რესპონდენტთა განაწილება სწავლების ენის მიხედვით.....	10
ცხრილი 6 - რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით.....	11
ცხრილი 7 - რესპონდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით.....	11
ცხრილი 8 - ქვემოთ მოცემული წყვილი დებულებებიდან ამოირჩიეთ ის მოსაზრება რომელსაც უფრო ეთანხმებით.....	46
ცხრილი 9 - თქვენი აზრით, რამდენი პროცენტი შეძლებს სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას?.....	48
ცხრილი 10 - სერტიფიკატის რომელი ტიპია თქვენთვის ყველაზე მისაღები?.....	49